# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 24 დეკემბერი, 2010 წელი.

№240 (6606)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


საახალწლო გამოკითხვა

## დროის სარკეში, ანუ ვინ არის ქართულ პოლიტიკაში 2010 წლის ყველაზე, ყველაზე, ყველაზე უფრო ქლესა, მედროვე და პატივმოყვარე?..



ეს თავისებური ანკეტა მკითხველმა შემოგვთავაზა. გუშინ რედაქციაში დარეკა და პირდაპირ ჩაგვაწერინა ანკეტის სამივე პუნქტი.

ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ამ ანკეტით ისევ თქვენ მოგმართოთ, ძვირფასო მკითხველებო! მთელი წლის განმავლობაში ყველა თუ არა, ბევრი თქვენგანი, ალბათ, თვალყურს ადევნებდით ჩვენი პოლიტიკოსების, ეგრეთ წოდებული პოლიტიკური ექსპერტების ყოველდღიურ თავგამოდებას „ან აქით, ან იქით", უფრო სწორად, ან ხალხის ან ხელისუფლების სასარგებლოდ.

წლის მიწურულს დროის სარკეში ცხადად ჩანს, ვინ როგორ „გამოიჩინა" თავი, ვინ როგორი პოლიტიკური ავტოპორტრეტი შეიქმნა ხალხის თვალში.

მაშ, მოდით, ერთად შევადგინოთ ზემოხსენებული საახალწლო ანკეტა. მოგვწერეთ თქვენი აზრი. გვარ-სახელებით დაასახელეთ თქვენი კანდიდატები.

ჩვენმა საერთო ძალისხმევამ იქნებ ბოლოს და ბოლოს, რამდენადმე მაინც გააუმჯობესოს 2011 წლის ქართული პოლიტიკური ცხოვრება, ამჟამად არასახარბიელოდ ესოდენ დაჭაობებული.

ასე რომ, სიტყვა გეკუთვნით თქვენ, ხალხს.

დაე, ხალხის აზრმა საკუთარი ურიგობის დასანახად და ჭკუის სასწავლებლად ერთხელ კიდევ ჩაახედოს პირუთვნელ დროის სარკეში ჩვენი ხშირად საეჭვოდ მოლაყბე თუ ენაკვესია პოლიტიკოსები, რომელთაც არცთუ იშვიათად ავიწყდებათ ხალხი და მხოლოდ თავიანთი ანგარებიანი მიზნებისთვის იჭაჭებიან და იჭიფხებიან.

დარეკეთ, მოგვწერეთ, ინტერნეტით შეგვატყობინეთ!

გელოდებით!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია





მღვდლობისა და ენათმეცნიერების ერთობლივმა ხვნამ შედეგი გამოიღო...

## ენას უწინარესად სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება!.. ⑤

## კაცი, რომელიც თანამედროვე ქართულ არმიას აშენებდა ⑥





## რუსეთის პატრიარქი პირობას დებს... ② და აცხადებს

## უმნიშვნელო ეკონომიკური ზრდა რა ბედენაა, როცა ასეთი ცეცხლის კიდებაა! ③

თბილისი არეულობის მოლოდინშია ②

## საყოველთაო სახალხო დაუმორჩილებლობის პირისპირ

## ქეთი ხუციშვილი მედიაპროექტების ლობირებას უარყოფს ④



## ელეფთერ ანდრონიკაშვილის კვალი საუკუნეში ⑦



№ 240. პარასკევი, 24 დეკემბერი, 2010 წელი.

ახალი ბრძოლა

**წელს ვერა, მაგრამ იანვრიდან შესაძლოა თბილისის ქუჩებში საყოველთაო სახალხო დაუმორჩილებლობა დაიწყოს. რა ფორმით? — ქმედებები იმპროვიზებული და წინასწარ დაუგეგმავი იქნება, მაგრამ ამ ეტაპზე შეიძლება დეტალების გამხელა: ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ადამიანები ყოველგვარ დიალოგს შეწყვეტენ მასთან და ვინც ამ რეჟიმის მსახური და ერთგული დარჩება, საზოგადოებიდან განიკვეთებიან, მედია ულირსი ჟურნალისტებისგან გაიწმინდება, იმ ხელოვნების მუშაკების, ლიტერატორების, პედაგოგების, პროფესორების ნამუშევრები სახალხოდ დაიწვება და განადგურდება, რომლებიც ხელისუფლების მიმართ ლოიალობას გამოიჩენენ, რეჟიმის მსახურები ქონების გარეშე დარჩებიან, ნაციონალისტი ბიზნესმენები — ბიზნესის გარეშე. გადაიხედება მსოფლიო ბანკთან დადებული ხელშეკრულებები, პრივატიზაციის პროცესი, დაუმორჩილებლობა გამოცხადდება ყველასა და ყველაფრის მიმართ, რაც ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობას უკავშირდება; ამხელენ და საჯაროდ გაკიცხავენ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ხელისუფლების მიერ ან ხელისუფლების მხარდამჭერი დონორებიდან დაფინანსდებიან. დაიწყება იმ ექსპერტთა დევნა, რომლებიც ნაციონალების კურსს აღიარებენ და მიესალმებიან, პოლიტიკიდან წასვლა მოუწევთ იმ პარტიებს, რომლებიც სააკაშვილის გუნდთან რაიმე სახის მოლაპარაკებას ეცდებიან...**

# მალე საყოველთაო სახალხო დაუმორჩილებლობა დაიწყება?

არ ვიცი, რამდენად მოიხიბლეთ ამ იდეით, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთის განხორციელების შემთხვევაში სამოქალაქო დაპირისპირება გარდაუვალია... ამ იდეის ავტორები კი მიიჩნევენ, რომ ისინი სამშობლოს სახელით მოქმედებენ, ხოლო ამ გზით ბოროტება უდავოდ დასრულდება.

## თბილისი არეულობის მოლოდინში



გუშინ დევიზით „პოლიტიკოსების გარეშე", კინოსახლის ერთ-ერთ დარბაზში საზოგადოების ინტელექტუალური სპექტრი შეიკრიბა და საყოველთაო დაუმორჩილებლობის იდეას მხარი დაუჭირა, რომლის სათავეებთან დგანან ჟურნალისტი ირმა ინაშვილი, „სახალხო კრებისგან" განდგომილი სოსო მანჯავიძე, დავით თარხან-მოურავი, შოთა ბურჯიძე..." საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური მხარდამჭერები არიან კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი, ადვოკატი ლალი აფციაური... ბევრი ის ხელოვანი, ექსპერტი, ადამიანის უფლებათა დამცველი, რომლებიც ასეთი სახის შეკრებებს არაერთხელ დასწრებიან... 400-მდე ადამიანმა მოაწერა ხელი დეკლარაციას, რომელშიც წერია, რომ **„ერისთვის ამ უმძიმეს ვითარებაში საზოგადოებამ თავად უნდა იტვირთოს სამშობლოს გადარჩენის პასუხისმგებლობა და დანაშაულებრივი რეჟიმის შეცვლა, რადგან ვთანხმდებით, რომ ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკური ძალების უმეტესობამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები და დაკარგა ხალხის ნდობა".** დეკლარაციის ხელმომწერთა შორის არიან: ადა მარშანია, დიმა ჯაიანი, ნანა დევდარიანი, რამაზ კლიმიაშვილი, მანანა ნიკოლაიშვილი და სხვები. დეკლარაციას ეთანხმება გია გაჩეჩილაძე, — „უცნობი", რომელმაც თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკოსებმა ხალხის ნდობა დაკარგეს, ამიტომ საჭიროა საზოგადოების გააქტიურება (საინტერესოა, იგულისხმა თუ არა, საკუთარი პოლიტიკოსი ძმა?



ინიციატორები ირწმუნებიან, რომ განსხვავება ბრძოლის სიმარტივეში იქნება, თანაც ყველაფერი გაკეთდება აბსოლუტურად გამჭვირვალედ და უსაფრთხოდ. დაცული იქნება ყველა ის ადამიანი, ვინც ამ ორგანიზაციაში გაწევრდება. რადგან ირმა ინაშვილის სტუდია „ობიექტივი" ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდა. ამიტომ „დაუმორჩილებლობის" ორგანიზაციის წევრთა უფლებებს ბრიუსელში დაიცავენ. ორგანიზაციას მუდმივად ეყოლება მობილური ჯგუფები, რომლებიც ოცდაოთხი საათი იმორიგევებენ და თუ დარღვევა მოხდება სადმე ვინმეს მიმართ, კამერით გადაიღებენ.



ჯგუფები შეიქმნებიან კორპუსების, უბნების მიხედვით, იმუშავებს ცხელი ხაზი. „ზნეობით შევებრძოლებით უზნეობას", — ამტკიცებენ ორგანიზაციის თაოსნები.

ირმა ინაშვილი ამბობს, რომ არსებული რეჟიმი არის ახალი ტიპის არაკლასიკური მოდელი, ამიტომ მას იმპროვიზებულად უნდა დავუპირისპირდეთ, ისე, რომ სააკაშვილის „პიარშიკებს" ამ ქმედებების წინასწარ განზრახვა გაუჭირდეთ. ამ იდეით აღფრთოვანება არ ეტყობოდა უფლებადამცველ ნანა კაკაბაძეს, თუმცა მიიჩნევს, რომ დაუმორჩილებლობა აუცილებელია. რა მნიშვნელობა აქვს, რა სახელს დავარქმევთ, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება", — აღნიშნა მან.

ადა მარშანიას აზრით, უმნიშვნელოვანესი ეტაპი დგება ერის ცხოვრებაში. პოლიტიკოსები ამას თავს ვერ ართმევენ, ამიტომ საზოგადოებამ აიღო პასუხისმგებლობა, „დარწმუნებული ვარ, ეს მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიშლება", — იმედოვნებს ის.

**„საყოველთაო-სახალხო დაუმორჩილებლობის" ორგანიზაცია 10 იანვარს ხელმეორედ შეიკრიბება. ისინი საინფორმაციო ბუკლეტებსა და გაზეთს გამოსცემენ, სადაც უფრო დეტალურად აუხსნიან საზოგადოებას სამოქმედო გეგმას. იანვრის შუა რიცხვებიდან კი რეალურ ბრძოლაზე გადავლენ. ახლა ჯერი მოსახლეობაზეა. საინტერესოა, რამდენად მოეწონებათ ეტაპობრივი, გრძელვადიანი დაპირისპირების ჩანაფიქრი. ინიციატორები გრძელვადიანში არ გულისხმობენ ხუთ წელიწადს, მაგრამ — არც სამ თვეს. ვნახოთ, რას მოიფიქრებს მერაბიშვილი და როგორ დაუპირისპირდება ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მტრებს(!).**

**თეა მოსია**

შეფასება

# 2010 „არასტაბილური სტაბილურობის" წელი იყო

***2010 წლის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და ტენდენციებზე და ასევე 2011 წელს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარებზე, „ინტერპრესნიუსი" პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.***



**— ბატონო ზურაბ, თქვენი აზრით, 2010 წელს საშინაო პოლიტიკაში რა მოხდა ყველაზე მნიშვნელოვანი და, როგორ შეაფასებდით 2010 წელს საშინაო პოლიტიკაში განვითარებულ მოვლენებს?**

— საერთო ჯამში, 2010 „არასტაბილური სტაბილურობის" წელი იყო. თითქოს ამჯერად ჩვენში ექსტრაორდინარული არაფერი მომხდარა, მაგრამ ყველანი შინაგანად დაძაბულობასა და შფოთვას განვიცდიდით.

მიმდინარე წელი, გარკვეულწილად, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი მდგომარეობიდან გამოსვლის პერიოდი იყო. როგორც ეტყობა, 2010 წელს ომის შოკი ნაწილობრივ დავძლიეთ. იყო იმის საფრთხე, რომ სამხედრო მარცხის შემდეგ ერთმანეთს დავერეოდით, როგორც ეს ისტორიულად არაერთხელ მომხდარა. მაგრამ, ამჯერად ასე არ მოხდა და ეს მთელი საზოგადოების დამსახურებაა. ფაქტია, ხელისუფლებამ შეძლო პოზიციების გაძლიერება, მაგრამ ეს მოხდა არა დიდი საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევის გზით, არამედ, უმთავრესად, ოპოზიციის დაქსაქსვისა და დასუსტების ხარჯზე.

ალბათ არც გასული წლის შეფასება შეიძლება, როგორც ხშირად გვჩვევია, მხოლოდ შავთეთრ ფერებში. იყო წინგადადგმული ნაბიჯები, მაგრამ პრობლემა ძალიან ბევრია. გვაქვს სერიოზული სირთულეები სოციალურ სფეროში, ჩვეულებრივი ადამიანების ყოფა და სიდუხჭირე, ეს გახლავთ საზოგადოების დიდი ნაწილის პრეტენზიები დემოკრატიის, სამართლიანობის ხარისხის მიმართ და მრავალი სხვა.



**— თქვენი აზრით, 2011 წელს როგორ განვითარდება პროცესები საშინაო პოლიტიკაში?**

— მე პოლიტიკური პროცესების ერთადერთი გზის მომხრე ვარ და ღრმად მჯერა — ეს ევოლუციური განვითარებაა. სხვა გზა — რევოლუციები და გადატრიალებები — კატასტროფის ტოლფასია. ჩვენ რამდენჯერაც ავირჩიეთ მოვლენათა განვითარების რევოლუციური გზა, იმდენჯერ ძალიან ცუდად დავამთავრეთ. ვინც პროცესების რევოლუციური განვითარების გზას გვთავაზობს, აქვს მოკლე მეხსიერება ან მოკლე ჭკუა ან კიდევ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. ფაქტია, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის პროცესების რევოლუციური განვითარების გზა მიუღებელია. ამას ადასტურებს აბსოლუტურად ყველა გამოკვლევა და მოსახლეობის განწყობა. მიუხედავად ამისა, ოპოზიციის ერთი ნაწილი ჯიუტად, ისევ და ისევ, გვთავაზობს იმ „პროდუქტს", რომლის „ყიდვაც" საზოგადოების უდიდეს ნაწილს არ სურს.

ამავდროულად, ოპოზიციის ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ არჩევნებს აზრი არა აქვს. ჩემი აზრით, ესეც სერიოზული შეცდომაა. თუკი შენს ამომრჩეველს წლიდან წლამდე შთააგონებ, რომ არჩევნებს აზრი არა აქვს, მერე არჩევნები რომ მოვა, არ უნდა ელოდო, რომ ხელისუფლებით უკმაყოფილო ხალხი არჩევნებზე სწორედ შენ მოგცემს ხმას. თუ შენ წლიდან წლამდე არჩევნების მიმართ ინდეფერენტულობასა და ნიჰილიზმს ამკვიდრებ, აღარ უნდა იფიქრო იმაზე, რომ საზოგადოება არჩევნებზე მხარს დაგიჭერს.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

# რუსეთის პატრიარქი პირობას დებს...

„საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მთლიანობის საკითხი ეჭვგარეშეა და არ განიხილება", — ამის შესახებ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის კათოლიკოს-პატრიარქმა კირილმა „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერ ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრისას განაცხადა.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს" ბურჯანაძის პარტიიდან აცნობეს, საუბარი შეეხო ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის საკითხსაც, რასთან დაკავშირებითაც რუსეთის პატრიარქს „სრულიად განსხვავებული ინფორმაცია ჰქონდა".

კირილ მეორის განცხადებით, საპატრიარქოს წარმომადგენელს საკითხის შესწავლა და სპეციალური ჯგუფის შექმნა დავალა, რომელიც ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ჩატარებულ სამუშაოებს გაეცნობა. რუსეთის პატრიარქმა დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარის ინფორმაცია დადასტურდება, რუსეთის საპატრიარქო ფაქტს დაგმობს და ყველაფერს გააკეთებს, რათა ტაძარს პირვანდელი სახე დაუბრუნდეს", - აცხადებენ ბურჯანაძის პარტიაში.

„დემოკრატიულ მოძრაობაში" ასევე განაცხადეს, რომ რუსეთის პატრიარქი ტაძრის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად ქართულ მხარესაც მიმართავს.

* * *

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის კათოლიკოს-პატრიარქის კირილ II-ის განცხადებით, ვერც ერთი ქართველი და რუსი პოლიტიკოსი, რომელმაც ორი ერის ურთიერთობებს ავნეს, ამ ურთიერთობისთვის ხაზის გადასმას ვერ შეძლებს.



ამის შესახებ რუსეთის პატრიარქმა „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერთან ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრისას განაცხადა.

გარდა ამისა, როგორც ბურჯანაძის პარტიიდან იტყობინებიან, „რუსეთის პატრიარქი დარწმუნებულია, რომ ქართველ და რუს ხალხს შორის ურთიერთობები აუცილებლად აღდგება".

— მჯერა, ჩვენს ხალხს შორის ურთიერთობები აღდგება და მას კარგი მომავალი ექნება, — განმარტა მან.

ჯი-ეიჩ-ენი

## ეკონომიკის სარკეში

# 2011 წელს მცირე ეკონომიკური ზრდა გვექნება, თუმცაღა გაძვირება დროულად უნდა შევაჩეროთ!



გვესაუბრება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში
დავით ნარმანია

**— საქართველოს პარლამენტმა გასულ კვირას 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა. ოპოზიცია და ექსპერტები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ხელისუფლება ყოველთვის ზედმეტად ოპტიმისტურ ბიუჯეტს ამტკიცებს. როგორ შეაფასებთ მომავალი წლის საბიუჯეტო პარამეტრებს?**

— 2008 და 2009 წლების ბიუჯეტთან შედარებით, მომავალი წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს ზედმეტი ოპტიმიზმი არ ახასიათებს და შემოსავლების თვალსაზრისით შედარებით რეალურად დაგეგმილი მეჩვენება. 2011 წელს ეკონომიკური ზრდა 4.5 პროცენტზეა დაგეგმილი. აქედან გამომდინარე, საბიუჯეტო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის მოცულობა ოპტიმალურია. რაც შეეხება ბიუჯეტის შიგნით საგადასახადო შემოსავლების მოცულობის პროგნოზირებას, აქ მე ძირითადი შენიშვნა საშემოსავლო გადასახადის მოცულობასთან მიმართებაში მაქვს. ამ გადასახადის სახით ბიუჯეტში შემოსასვლელი თანხების მოცულობა მომავალ წელს 20 პროცენტითაა გაზრდილი და ეს მაშინ, როცა 2011 წელს ეკონომიკური ზრდა მხოლოდ 4.5 პროცენტია. ბუნებრივია, ეს, პირველ რიგში, გრანტების სახით შემოსული თანხებიდან ბიუჯეტში გათვალისწინებული საშემოსავლო ნაწილითაა ნაკარნახევი. თუმცა, მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალურ მეწარმეებზე საგადასახადო ტვირთი გაიზრდება, ან ადმინისტრირება გამკაცრდება. ამდენად, გამორიცხული არაა, ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სრულად მობილიზება გაჭირდეს. პროგრამული ბიუჯეტი, რომელზეც საქართველო 2012 წლიდან სრულად გადავა, გულისხმობს იმას, რომ მასში ყველა სახელმწიფო უწყების ხარჯები და მათი მიზნობრიობა დეტალურად უნდა იყოს გაწერილი. ამდენად, სასურველი იქნებოდა, მომავალი წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო.

**— საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით ყოველთვის არსებობს სკეპტიკური დამოკიდებულება. ოპოზიციის წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ სახელისუფლებო წრეები ბიუჯეტიდან თანხებს სხვადასხვა პიარ-აქციებში ხარჯავენ. რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას და რამდენად გამჭვირვალეა ბოლო წლებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა?**

— ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმატი და სტრუქტურა არ შეცვლილა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ბიუჯეტის დეტალიზაცია არ განხორციელებულა. საზოგადოებაში განსაკუთრებით ბევრი კითხვა არსებობს „სხვა ხარჯებთან“ დაკავშირებით. ბიუჯეტის ამ ნაწილში დეტალურად არ არის განმარტებული, რაში შეიძლება, დაიხარჯოს ეს თანხები. ბუნებრივია, ძალიან ძნელია, წინასწარ განჭვრიტო, რა საჭიროება შეიძლება, დაგიდგეს მომავალ წელს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი პარამეტრები სწორად იყოს პროგნოზირებული. შესაბამისად, სასურველია, ეს „სხვა ხარჯები“ ბიუჯეტში წინასწარ დასახარჯი თანხების სახით იყოს გაწერილი და მთელი წლის განმავლობაში, როცა ისინი გაიხარჯება ან მათი დახარჯვის საჭიროება დადგება, მთავრობამ საზოგადოებას დეტალური ანგარიში ჩააბაროს.

**— ბიუჯეტის ხარჯვასთან დაკავშირებით ოპოზიცია ხშირად სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ხელისუფლების წარმომადგენელთა პირადი ინტერესების ლობირებაზე და სხვადასხვა კორუფციულ გარიგებებზე საუბრობს. თქვენი შეფასებით, რომელ სფეროებში გვხვდება სადღეისოდ ამ სახის კორუფცია?**

— შესყიდვებთან დაკავშირებით მართლაც ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს. 2010 წლის 1 დეკემბრიდან სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა ამოქმედდა, რაც გამჭვირვალობას მნიშვნელოვნად გაზრდის. ეს სისტემა ალბათ, გაამართლებს და იმუშავებს, თუმცა ჯერჯერობით ძალიან ბევრ შემსყიდველ ორგანიზაციას ამ სისტემის მნიშვნელობა გაცნობიერებული არ აქვს. შესყიდვების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლით გამჭვირვალობის კუთხით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა და ბევრ კითხვას, რომელიც ტენდერში მონაწილეებს და გამარჯვების კრიტერიუმებს ეხება, ალბათ, პასუხი გაეცემა.

**— Transparency International-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, საქართველო კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყნებს შორის მოწინავე რიგებში მოხვდა. მიუხედავად ამისა, ოპოზიცია ხშირად საუბრობს ე.წ. „ელიტურ კორუფციაზე“... იზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას?**

— კორუფციის საკითხები ჩემი პირდაპირი კვლევის სფერო არაა, მაგრამ ყველანი ალბათ, ვთანხმდებით იმაზე, რომ საქართველოში კორუფციის დონე მინიმუმამდეა დაყვანილი. ამასთან, ისეთი კვალიფიციური საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებაში, როგორიცაა Transparency International, ეჭვს ვერ შევიტანთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში კორუფცია აღარ არის, მაგრამ წინა წლებთან შედარებით, მისი დონე მართლაც შემცირებულია.

**— რამდენიმე დღის წინ მთავრობამ „ახალი ეკონომიკური კურსი“ გამოაცხადა, რომლის ამოსავალი წერტილი ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის პარტნიორული ურთიერთობის დამყარებაა. რას შეცვლის ახალი კურსი ქართულ ბიზნესში?**

— მთავრობის ახალ ეკონომიკურ კურსში პირადად მე არსებით ცვლილებას ვერ ვხედავ. ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის ძირითადი მიმართულება აქამდეც ლიბერალური იყო, თუმცა მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის მაჩვენებელი მაინც დიდია. რაც შეეხება საგადასახადო ადმინისტრირების საკითხების გამარტივებას, ეს უბრალოდ ამ კურსის შემადგენელი ნაწილია და ამას „ახალ ეკონომიკურ კურსს“ ვერ ვუწოდებ. ბიზნესის სასარგებლოდ გარკვეული ნაბიჯები იდგმება. კერძოდ, ბიზნესის რეგისტრაციის, გადასახადის გადახდის, განბაჟების პროცედურების სიმარტივე ცალსახად მისასალმებელია, თუმცა ბიზნესის უსაფრთხოების დაცვის საკითხებში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა.

**— 2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის ხელისუფლების მიერ „რევოლუციურად“ მონათლული ახალი საგადასახადო კოდექსი. რეალურად რამდენად „რევოლუციურია“ ის და რას მიიჩნევთ ახალი კოდექსის დადებით და უარყოფით მხარეებად?**

— რამდენად რევოლუციური იქნება ახალი საგადასახადო კოდექსი, მისი პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ გამოჩნდება. სწორედ მაშინ გამოიკვეთება მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებიც. ამაზე წინასწარ საუბარი ძნელია, თუმცა გარკვეული თვალსაზრისით, ბევრი რამ მართლაც გამარტივებულია. მთავარი დადებითი პუნქტი ალბათ, იმაში მდგომარეობს, რომ ყველა სახის გადასახადის გადახდა ელექტრონული სისტემით იქნება შესაძლებელი და გადამხდელს საგადასახადო ინსპექტორთან შეხება პრაქტიკულად აღარ მოუწევს. ასევე მნიშვნელოვანია გაფრთხილების მექანიზმის შემოღება, რომლის თანახმად, პირველი უმნიშვნელო გადაცდომის შემთხვევაში მეწარმეს გაფრთხილება მიუვა და ის მხოლოდ განმეორების შემთხვევაში დაჯარიმდება. არ შეიძლება, ბიზნესმენი პირველივე გადაცდომაზე დააჯარიმო, მით უმეტეს, როცა კანონმდებლობა სრულყოფილი არაა და აბსოლუტურად ბუნდოვანია.

**— საქართველოს ხელისუფლება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ქვეყანაზე ზეგავლენას ჯერ საერთოდ არ აღიარებდა, შემდეგ კი გამოაცხადა, რომ კრიზისი დასრულებულია. ფაქტია, რომ ამ პროცესმა ყველაზე მეტად საბანკო და საფინანსო სექტორი დააზარალა. რა ვითარება გვაქვს დღეს: ისევ რეცესიაში ვართ, თუ აღმავლობის პერიოდი იწყება?**

— დღეისათვის საბანკო სექტორი კრიზისიდან გამოსულია, თუმცა ცალკეულ ბანკებს გარკვეული კრიზისი მაინც აქვთ. რაც შეეხება სამშენებლო სექტორს, ის ჯერ კიდევ ღრმა კრიზისშია და ზოგიერთი კომპანია კვლავ ე.წ. პირამიდების მშენებლობას აგრძელებს, ეს კი მათ კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანს. სამშენებლო სექტორი დროზე უნდა მოვიდეს გონს და სხვა ფორმებით იმუშაოს. რაც შეეხება ზოგადად მაკროეკონომიკურ დონეს, ქვეყანაში კრიზისის ძირითადი ტალღა უკვე უკან მოვიტოვეთ და ძირითადი დარტყმა დაძლეულია. გარკვეული თვალსაზრისით, ეკონომიკის სტიმულირება უკვე შეიმჩნევა და ვფიქრობ, რომ საქართველო კრიზისამდელ მაჩვენებლებს 2011 წელს - არა, მაგრამ 2012 წელს მაინც დაუბრუნდება.

**— და ბოლოს, თქვენი პროგნოზით, როგორი იქნება საქართველოსთვის 2011 წელი? ხომ არ აღმოჩნდება ქვეყანა ახალი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე?**

— 2011 წელს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდება, თუმცა ძალიან პრობლემატურია ფასების ზრდასთან დაკავშირებული საკითხები. 2010 წელი ფასების საერთო ზრდის მაღალი დონით სრულდება, რომლის შემცირება ვერც 2011 წელს მოხერხდება, ყოველივე ეს კი მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაზე უარყოფითად იმოქმედებს. ყველაზე დიდი გამოწვევა რეალური ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა იქნება. სახელმწიფომ ეს უნდა გააკეთოს, რათა ქვეყნის შიგნით ფასების ზრდაზე რეალური ზედამხედველობა დამყარდეს. რაც შეეხება საერთაშორისო ბირჟებზე ფასების მატებას, ამას ქვეყანა წინ ვერ აღუდგება.

**თელარა გელანტია,**
საინფორმაციო სააგენტო „პირველი“

## წკეპლიკა

### მთავრობის სხდომა სტალაქტიტების გარემოცვაში

პირველი რეფორმატორები რომ ვართ, ეს კი იცის მსოფლიომ, ისიც იცის, რომ ჩვენ პირველები ვართ მთავრობის სხდომების ჩატარებისა ხან მშენებარე სახლის სახურავზე, ხან ტბასთან მოცურავე იხვების სიახლოვეს, ხან ანაკლიის სანაპიროზე. მაგრამ მსოფლიომ ჯერ არ იცის, რომ პირველმა რეფორმატორმა მთავრობის სხდომა ჩაატარა კარსტულ მღვიმეში.

ისე, რა უშიშარი პრეზიდენტი და მთავრობის წევრები გვყავს, როგორ არ შეეშინდათ, დინოზავრი რომ დასხმოდათ თავს? მაგრამ არა, მიშა ისე აბოლებდა და აბრუებდა მინისტრებს, რომ დინოზავრი დაფრთხა, ვერ გაბედა ჩაეშალა ისტორიული მნიშვნელობის მთავრობის სხდომა!..

ლონდა მდივანი

## ინფორმაცია

### ნინო ბურჯანაძე ნიკა რურუას პასუხობს

**კოლაბორაციონალიზმში ჩემი დადანაშაულების ბრალდებებს ვერ დავეთანხმები და სიმართლე თუ გინდათ ნაკლებად მაინტერესებს ისეთი ადამიანების მიერ ჩემი მისამართით გამოთქმული ბრალდებები, რომელთა წყალობითაც საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ჯარი იმყოფება. ეს განცხადება „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ რადიოსადგურ „ეხო მოსკვისათვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა საქართველოს კულტურის მინისტრის ნიკა რურუას მიერ მისი მისამართით გამოთქმული ამ ბრალდების კომენტირებისას.**

**მისივე თქმით, მართალია, შესაძლოა კულტურის მინისტრის ბრალი ყოველივე ამაში მინიმალურია, მაგრამ მათი წყალობით ვინც ჩვენს დღევანდელ მთავრობაშია, მოხდა ის რაც მოხდა 2008 წლის აგვისტოში — „იმიტომ რომ მე დარწმუნებული ვარ და თან არგუმენტირებულად შემიძლია ამის დასაბუთება, რომ თუკი ჩვენი მთავრობა ჭკვიანურად, ადეკვატურად და ღირსეულად მოქცეოდა ამ ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო“.**

**— რაც შეეხება კულტურის მინისტრის აღშფოთებას, მე ასევე მიმაჩნია, რომ იგი უნდა აღშფოთდეს მაშინ, როდესაც სრულიად გაუგებარ მიზეზთა გამო, გასულ წელს ააფეთქეს ძეგლი, რომელიც დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი და როდესაც სავსებით მოუმზადებელ აფეთქებას სრულიად უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე შეეწირა, — აცხადებს ნინო ბურჯანაძე და დასძენს, რომ კულტურის მინისტრმა უნდა ახსნას თუ რატომ ხდება საჭირო საერთოდ ძეგლების აფეთქება, მით უფრო ძეგლისა, რომელიც დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას ეძღვნება და სხვათაშორის არა მხოლოდ ქართველი მებრძოლების.**

**„თქვენ იცით რომ საქართველომ ამ ომში პროცენტულად ყველაზე მეტი ადამიანი დაკარგა. ამიტომაც რა საჭიროა ამ ადამიანების ხსოვნის შეურაცხყოფა? ვინმეს შეუძლია ეს ამიხსნას?“, — აცხადებს ნინო ბურჯანაძე.**

### ბადრი ბიწაძის არავითარი ინტერვიუ იმ სახით რა სახითაც იგი გამოქვეყნდა, არ ყოფილა

**არავითარი ინტერვიუ იმ სახით რა სახითაც იგი გამოქვეყნდა არ ყოფილა. განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ჟურნალისტებთან საუბარში გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მიერ გამოქვეყნებული ბადრი ბიწაძის ინტერვიუს კომენტირებისას.**



**— ეს წარსულია და როგორ მოხვდა გაზეთის ფურცლებზე ჩემთვის დღემდე გაუგებარია. იმიტომ, რომ არავითარი ინტერვიუ სინამდვილეში იმ სახით, რა სახითაც იგი გამოქვეყნდა არ ყოფილა. ახლა არ მინდა დეტალებს ჩავუღრმავდე, თუმცა ვიტყვი, რომ ოპოზიციაში განსხვავებული შეხედულებებია. ოპოზიციაში არიან ადამიანები და პარტიები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ უნდა მოემზადონ მხოლოდ ჩვეულებრივი და არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისათვის და უნდა ითმინონ სააკაშვილი მანამ, ვიდრე მას თავად არ მოსწყინდება ხელისუფლებაში ყოფნა. თუმცა არის ოპოზიციის სხვა ნაწილი, რომელსაც მე წარმოვადგენ, მათ შორის ეროვნული კრება და რომელიც მიიჩნევს, რომ სააკაშვილის მიერ ხელისუფლებაში ყოფნის ყოველი დღე — ეს საქართველოსათვის უბედურებაა, — აცხადებს ნინო ბურჯანაძე.**

ჯი-ეიჩ-ენი

თავისუფალი მედია

# ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ მედიაპროექტების ლობირებას უარყოფს



***რა პრინციპით არჩევს ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“ მედიაპროექტებს? ხდება თუ არა ფონდის კომისიაში პროექტის ავტორის ლობირება და ეხმარება თუ არა სოროსის ფონდი იმ მედიასაშუალებებს, რომლებსაც დახმარება რეალურად სჭირდებათ? — ამ საკითხებზე „პირველი“ ფონდის ხელმძღვანელ ქეთი ხუციშვილს ესაუბრა.***

**— ქალბატონო ქეთი, რამდენ პროექტს აფინანსებს თქვენი ორგანიზაცია წელიწადში?**

— 2010 წელს დაახლოებით 300-მდე პროექტი დაფინანსდა. მათგან 50-მდე მედიაპროექტი იყო.

**— რა თანხები დაიხარჯა მედიაპროექტების დაფინანსებაზე?**

— საერთო ჯამში, საგრანტო თანხამ 800 ათასი შეადგინა.

**— როგორ ხდება პრიორიტეტული მედიაპროექტების შერჩევა?**

— გრანტებს ორი პრინციპით გავცემთ: კონკურსი, რომელსაც პრიორიტეტების მიხედვით ვაცხადებთ და „ღია კარი“, სადაც პროექტის შემოტანა ყველა მედიაჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია. ყველა შემოსულ პროექტს ექსპერტთა კომისია განიხილავს. მედიაკომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელი პროექტია უკეთესი, შემდგომ კი ამ გადაწყვეტილებას საბჭო ამტკიცებს.

**— როგორია ბოლო წლების დინამიკა, რომელი მედიასაშუალებები ფინანსდებიან ბოლო წლების განმავლობაში?**

— მედიაპროგრამებისთვის ბიუჯეტი 2009 წლიდან გავზარდეთ. მივიჩნევთ, რომ მედიას დღეს სერიოზული პრობლემები აქვს, ერთის მხრივ, დამოუკიდებლობის და მეორეს მხრივ, პროფესიონალიზმის თვალსაზრისით. ასევე, გარკვეული პრობლემებია მრავალფეროვნების თვალსაზრისით. გადავწყვიტეთ, დახმარების კუთხით აქცენტი დამოუკიდებელი მედიასაშუალებების, ასევე ჟურნალისტების განათლებისა და მედიაგარემოს გაუმჯობესების მიმართულებით გაგვეკეთებინა. იგულისხმება საკანონმდებლო გარემოსა და პრაქტიკის გაუმჯობესება. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ცალკეულ მიმართულებებზე, მაგალითად, საგამოძიებო მედიაზე. 2009-2010 წლების მანძილზე თითქმის ყველა საგამოძიებო ჟურნალისტური სტუდია დავაფინანსეთ.

ჩვენი ერთ-ერთი მიმართულება საინფორმაციო სააგენტოების დახმარებაც იყო. ვეხმარებოდით ასევე ახალ სოციალურ მედიას, ბლოგებს, რომელიც ქვეყანაში ვითარდება; დავაფინანსეთ ჟურნალისტების განათლება რეგიონებში.

ასე რომ, მედიის დაფინანსების ძალიან განსხვავებული სპექტრი გვქონდა.

**— ქალბატონო ქეთი, ბოლო წლებში ერთსა და იმავე მედიასაშუალებას, მათ შორის ჟურნალ „ლიბერალს“ თქვენი ორგანიზაციისგან რამდენჯერმე გადაეცა გრანტი. არ ფიქრობთ, რომ ეს არაკონკურენტულ გარემოს ქმნის მედიასივრცეში?**

— 2009 წელს, მაშინ, როდესაც „ლიბერალი“ იქმნებოდა, სწორედ ჩვენ მოგვაკითხეს და შეიძლება, ითქვას, რომ საკმაოდ სოლიდური გრანტი მიიღეს. მიგვაჩნდა, რომ ეს ძალიან საინტერესო მედიაპროექტი იყო და გადავწყვიტეთ, დაფინანსება მიგვეცა. წელს კიდევ ერთხელ დავაფინანსეთ, მაგრამ ახლა მათ უკვე ძველური პროგრამა ეხმარებათ ლონდონიდან, ხოლო ჩვენ მათთვის ახალი გრანტი არ მიგვიცია.

**— მიუხედავად ამისა, ხშირად არის შენიშვნები იმასთან დაკავშირებით, რომ პროექტის შერჩევისას ლობირებას აქვს ადგილი. რამდენად ობიექტურად ხდება პროექტის შერჩევა?**

— ჩვენ ძალიან დიდი ენერგია ჩავდეთ მედიაგარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობაში. ჩვენი მიზანი მხოლოდ მედიასაშუალებების დაფინანსება არ არის. ჩვენი მიზანია, დავაფინანსოთ დამოუკიდებელი სტუდიები და არასამთავრობო სექტორი, რომლებიც ამ თემებზე მუშაობენ, გარკვეულ შემთხვევებში კი — მედიასაშუალებები. საქმე იმაშია, რომ ყოველ ჯერზე ძალიან ბევრი პროექტი შემოდის და ბუნებრივია, არჩევანის გაკეთება გვიწევს. გვესმის, რომ ის ორგანიზაციები, რომლებიც გრანტს ვერ იღებენ, გარკვეულწილად განაწყენებულები არიან. ეს ჩვენთვის სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ ვირჩევთ საუკეთესო პროექტებს და ამას ექსპერტთა ჯგუფი აკეთებს, რომელიც საგანგებოდ გვყავს შერჩეული. ნებისმიერი შემოსული პროექტი ჯერ საექსპერტო კომისიაზე გადის. კომისია მას იქვე იწონებს ან იწუნებს, ან შეიძლება, პროექტის ავტორს დამატებითი რეკომენდაციით მიმართოს. როდესაც ავტორისგან პასუხი ბრუნდება, პროექტი ხელმეორედ განიხილება. მას შემდეგ, რაც კომისია მოიწონებს, ან საბოლოოდ დაიწუნებს პროექტს, ეს უკანასკნელი საბჭოზე გადის და თუ პროექტი მოწონებულია, საბჭო მას ამტკიცებს. საბჭოს წევრები საგანგებოდ ესწრებიან კომისიის სხდომას, რათა პროცედურები დაცული იყოს და რომელიმე პროექტის ლობირება გამოირიცხოს. ასე რომ, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ობიექტურობა უზრუნველვყოთ და შესაბამისად, წაგებულები კი არ უნდა განაწყენდნენ, სამომავლოდ უკეთესი პროექტები უნდა შექმნან.

**— არ გეჩვენებათ, რომ თქვენი რეიტინგი დაბალია?**

— ვერ ვიტყოდი. თუ გაინტერესებთ, როგორ ხდება ჩვენი საქმიანობის ასახვა მედიაში, ჩვენ ყოველთვე ვუკვეთავთ ერთ-ერთ ორგანიზაციას რეიტინგს და მე თვითონ ვარ ხოლმე გაოცებული, რა სიხშირით ხდება ჩვენი კონკრეტული საქმიანობის ასახვა. მრგვალ მაგიდებზე და დისკუსიებზე ძალიან ბევრი ადამიანი მოდის ხოლმე მედიასივრციდან. არის ერთი-ორი მედიასაშუალება, რომელიც მუდმივად კრიტიკულად არის განწყობილი ჩვენი ფონდისადმი, თუმცა დამეთანხმებით, რომ ერთი-ორი არც ისე ბევრია!

**— როგორ აფასებთ თქვენს მიდგომას მედიის მიმართ და აპირებთ თუ არა ამ მიდგომით გააგრძელოთ მედიასთან ურთიერთობა?**

— ვაპირებთ. ვგეგმავთ, შემდეგ წელსაც აქტიური მედიაპროგრამა გვქონდეს. ჩვენი ერთ-ერთი ინტერესი კვლავ საგამოძიებო ჟურნალისტიკა იქნება. ასევე, პრიორიტეტად დარჩება ონლაინ-ჟურნალისტიკის განვითარება. ასევე დავეხმარებით ტრადიციულ მედიას ახალი სოციალური მედიის გამოყენებაში და გავაგრძელებთ ჟურნალისტების განათლებაზე ზრუნვას.

**— გაღებული თანხების შედეგს თუ ხედავთ? რა იცვლება მედიაგარემოს გაუმჯობესების მხრივ ქვეყანაში?**

— გარკვეულ შედეგებს ნამდვილად ვხედავთ. თუნდაც ის, რომ ბოლო პერიოდში ძალიან სერიოზული განხილვა მიმდინარეობდა არა მარტო პარლამენტში ინიცირებული, არამედ იმ კანონპროექტისა, რომელიც ჩვენს მიერ დაფინანსებული მედიის საინიციატივო ჯგუფის მიერ იყო შექმნილი, გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯია. თუმცა ჩვენ მედიადონორი ვართ და 800 ათასით მედიაგარემოს პრინციპულად გაუმჯობესება შეუძლებელია.

**ხათუნა გაგნიძე**

შეფასება

# 2010 „არასტაბილური სტაბილურობის“ წელი იყო

(მეორე გვერდიდან)

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მომავალი წელი უკვე არჩევნებისთვის მზადების პერიოდი იქნება და ყველა პოლიტიკოსს ვურჩევ, ამაზე იფიქროს. ჩვენი დიდი ამოცანაა, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს სოლიდური ოპოზიცია, რომელიც იქნება არა დესტაბილიზაციის, არამედ სტაბილურობისა და დემოკრატიული განვითარების გარანტი. ეპოქა, როდესაც ხელისუფლება მონოპოლისტურ და, ფაქტობრივად, უკონტროლო პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, უნდა დასრულდეს. ეს, საერთო ჯამში, ყველას ინტერესებში უნდა იყოს.

**— როგორ შეაფასებდით საერთაშორისო ასპარეზზე 2010 წელს განვითარებულ პროცესებს და როგორი იყო ეს პროცესები საქართველოსთვის?**

— მიმდინარე წელს მსოფლიოში გრძელდებოდა მრავალპოლარული წესრიგის ჩამოყალიბება. გრძელდებოდა, ასევე, ეკონომიკური კრიზისი, რაც ევროკავშირის ქვეყნებში მწვავედ იგრძნობოდა. ვერ მოხერხდა 2008 წლის ომის დროს „შელახული“ ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის შეკეთება, რაც ნათლად გამოჩნდა ასტანის ეუთოს სამიტზე. კავკასია და, კერძოდ, სამხრეთ კავკასია კვლავ ფეთქებადსაშიშ რეგიონად რჩებოდა. ნაწილობრივ გაუმჯობესდა ურთიერთობები დასავლეთსა და რუსეთს, უპირველესად ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის, რაც საბოლოო ჯამში, დადებითად აისახა ჩვენს ვითარებაზეც. საქართველოს მიმართ დასავლეთის მხარდაჭერა, მიუხედავად ბევრი მითქმა-მოთქმისა, არ შემცირებულა. ეს გახლავთ ძალიან ზოგადი შეფასებები, თუმცა ბევრი საინტერესო კონკრეტული მოვლენების მოწმენიც ვიყავით. ამ თვალსაზრისით ალბათ ფრიად მნიშვნელოვანი გახლდათ ნატოს სამიტი ლისაბონში.

**— ვაშინგტონ-მოსკოვს, ნატო-რუსეთსა და დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების ფონზე, 2011 წლისთვის როგორია საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პერსპექტივები?**

— რადგან რუსეთი ახსენეთ, აღვნიშნავ, რომ ამ მიმართულებით, ანუ თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობებში, რაიმე გარღვევას მე არ ველოდები. ალბათ იქნება გარკვეული მოძრაობა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აღდგენის კუთხით. თუმცა, რუსეთისთვისაც მომავალი წელი წინასაარჩევნო პერიოდია და დიდი ყურადღება გვმართებს. ვიმეორებ, თუ საქმეს გონივრულად წავიყვანთ, დრო ჩვენს სასარგებლოდ იმუშავებს. მხედველობაში მაქვს, ბუნებრივია, პერსპექტივაში კონფლიქტების მოგვარების დილემაც.




როგორც წინასწარმეტყველებენ, 2011 წელსაც გაგრძელდება მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი. საქართველო მსოფლიოს ნაწილია, ამიტომ ალბათ ჩვენც გაგვიჭირდება ამ გლობალური მოვლენისთვის თავის არიდება. საჭიროა საღი, რეალურად (და არა „პიარულად“ძ დაცული, კონკურენტული გარემოს შექმნა ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

**— როგორ შეაფასებდით მოსკოვისა და რუსეთის ზოგიერთ ქუჩაში განვითარებულ პროცესებს და, სავარაუდოდ, როგორ აისახება იგი რუსეთისადმი აშშ-ის და დასავლეთისა და მოსკოვ-თბილისის ურთიერთობებზე? და კიდევ, რამდენად საფუძვლიანია მტკიცება, რომ პუტინმა, როგორც რუსეთში 2012 წლისათვის დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების უალტერნატივო კანდიდატმა, ნაციონალისტების გამოსვლების გამოყენება უკვე შეძლო..**

— რაც რუსეთში ხდება, შემაშფოთებელია. უამრავი ქართველი ცხოვრობს რუსეთში, მოსკოვში და არ გვინდა, რომ მათ იქ დამატებითი პრობლემები შეექმნათ. ამ დღეებში მე მოსკოვში მცხოვრებ ბევრ ჩემს მეგობართან, ახლობელთან მქონდა საუბარი და ვგრძნობ, რომ ისინი სერიოზულ დისკომფორტს განიცდიან იმის გამო, რაც მათ ირგვლივ და სიახლოვეს ხდება. მრავალეროვნულ და მრავალკონფესიურ ქვეყანაში ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გაღვივება უაღრესად ცუდი მოვლენაა. განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც რუსეთია. თუკი მოვლენები ასე განვითარდა, კარგს არაფერს არ უნდა ველოდოთ. „ზედაპირზე გამოსული“ ექსცესები ღრმა და მოუგვარებელი სისტემური პრობლემების ანარეკლია.

ალბათ, უნდა დავეთანხმო მოსაზრებას, რომ განვითარებული პროცესები უფრო პუტინის წისქვილზე უნდა ასხამდეს წყალს. მედვედევსა და პუტინს შორის კონკურენციის პირობებში და განვითარებული დესტრუქციული პროცესების ფონზე, საზოგადოებაში ჩნდება ე.წ. ძლიერი ხელის მოთხოვნა. ასეთ ვითარებაში კი, ალბათ პუტინის უპირატესობა აშკარაა.

**კობა ბენდელიანი**

ინფორმაცია

## ძმებ გაჩეჩილაძეებს უძრავ ქონებას ჩამოართმევენ

**როგორც კახა კუკავამ განაცხადა, რომელიც ლევან და გიორგი გაჩეჩილაძეების ინტერესებს იცავს, საუბარია ოჯახის საკუთრებაში არსებულ 4 საცხოვრებელ სახლზე, მათ შორის საგურამოში მდებარე აგარაკზე.**

**— ოჯახს — როგორც ლევანს, ისე მის ძმას, კუთვნილებაში არსებული 4 ობიექტი ბანკში აქვს ჩადებული. მათ კრედიტის ყოველთვიურად გადახდა ვერ შეძლეს, რის გამოც ბანკმა სასამართლოში იჩივლა. დაახლოებით ერთი თვის წინათ თბილისის საქალაქო სასამართლომ დავა „ტაო-პრივატ ბანკის“ სასარგებლოდ გადაწყვიტა, — განმარტავს კახა კუკავა.**

**ამასთან, გაჩეჩილაძეებისთვის კუთვნილი ქონების ჩამორთმევა აქამდე იმის გამო ვერ განხორციელდა, რომ მათ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინათ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს.**

**— სანამ სასამართლო განხილვები არ დასრულდება, იქამდე გაჩეჩილაძეების ოჯახს სახლებიდან გამოსახლება არ ემუქრებათ, — დასძინა მან.**

**კონკრეტულად რა თანხა აქვთ გაჩეჩილაძეებს ბანკიდან გამოტანილი და რამდენადაა შეფასებული მათი კუთვნილი ქონება, კუკავას „არ ახსოვს“.**

**აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინათ თავად „ქართული პარტიის“ ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ „მთელი ქონება ბანკში სააკაშვილის მოშორების საქმისთვის დააგირავა“.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

# ენას უწინარესად სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება!..

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მეორე ტომის ახალი რედაქციის წარდგინება გაიმართა სამების ტაძართან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში. ლექსიკონი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ეგიდით გამოიცა და მისი მთავარი რედაქტორია პროფესორი ავთანდილ არაბული.**

საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის თავმჯდომარემ **მაყვალა გონაშვილმა** მიულოცა ენათმეცნიერებსა და მწერლებს ლექსიკონის ახალი ტომის გამოსვლა და ყველას მადლობა გადაუხადა, ვინც წვლილი შეიტანა ამ საქმეში.

ცნობილმა ლიტერატორმა **გურამ გოგიაშვილმა** აღნიშნა, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული, რომელიც არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით გამოიცა, თითქმის თითოეული ქართველის ოჯახში დევს. „პირველი ტომის გამოსვლიდან 60 წელი გავიდა. ბევრი რამ შესავსები გახდა. ენა ღვინოსავითაა, რაც უფრო ძველდება, მეტი ფასი ედება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციით გამოცემა დიდი საქმეა. იგივეა, რაც ტაძრის შენება. ჩვენ ენას ვერვინ ამოგვგლეჯს.

ისეთი დროა, ეროვნულ ფასეულობებს საფრთხე ემუქრება. ტერიტორიებიც დავკარგეთ. ერმა ენაში გაერთიანება იმედად დაისახა. ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვაზე ბევრად მეტად ტრაგიკული ენობრივი მთლიანობის დაკარგვაა. მთვარეზეც რომ გადავსახლდეთ იმ რვატომეულით, საქართველო იქ იქნება. ჩვენ ამ დიდ ლექსიკონს შეფარებული ქართველები ვართ. მაგრამ ახალი რედაქციის ნაკლი უწინდელისგან განსხვავებით ის არის, რომ ტირაჟი მცირე აქვს. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო (ქართველ ბიზნესმენებთან ერთად) დააფინანსებს და 50-100 ათასი ტირაჟით დაიბეჭდება (60 წლის წინათ გამოცემული ლექსიკონი 30 000 ეგზემპლარი დაიბეჭდა). ეს მეცნიერებიც სულს მოითქვამენ და ხალხისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება.“

ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა **ლალი ეზუგბაიამ** ხაზი გაუსვა იმას, რომ მეორე ტომის წარდგინება ქართველი მწერლების ინიციატივით ხდება, რაც მოწმობს ქართველი მწერლების არსებით როლს სალიტერატურო ენის განვითარებაში. მან ბატონი ავთანდილ არაბულის ხელმძღვანელობით ახალ რედაქციაზე მომუშავე მეცნიერთა ჯგუფის სარედაქციო საბჭოს პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება და შრომისმოყვარეობა აღნიშნა – ამ ადამიანებს მეტი ყურადღება სჭირდებათ და იმედია, მათი შრომა დაფასდებაო.

ბატონმა **ჯემალ აჯიაშვილმა** იმედით დასძინა, არნოლდ ჩიქობავას რვატომეული ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი იყო, იმედია, ეს ახალი გამოცემაც ასეთ ადგილს დაიკავებსო. „გლობალიზმი და ინტეგრირება გარდაუვალია. მაგრამ ეროვნული ფასეულობები არ უნდა დაგვავიწყდეს. იაპონელები გიჟური ტემპით ცხოვრობენ. და ამ ტემპის გვერდით არსებობს მედიტაციური მჭევრმეტყველებით გამორჩეული კაბუკის თეატრი, მათ ოქროს კვეთი გამონახეს, გიჟურ ტემპს ეროვნული ფასეულობანი შეუთავსეს. იმედია, ეს ლექსიკონი დიდი საყრდენი იქნება ჩვენთვის იმ ფასეულობების დასაბრუნებლად.“

მწერალმა **ჯემალ მეხრიშვილმა** დანანებით აღნიშნა, რომ ქართველ ხალხში არ არის ამ ლექსიკონის შეძენის გამო ენთუზიაზმი – ზოგს ფულიც აქვს, მაგრამ შეძენის აუცილებლობას ვერ გრძნობს, ამბობს, რად გვინდა, რაში გვჭირდებაო. არადა ლექსიკონი ყველა ოჯახში უნდა იდოს. სამწუხაროა, თუ სოფლის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნება.“



ბატონი **ზურაბ ჭუმბურიძე** 23 წლის ასპირანტი ყოფილა, როცა არნოლდ ჩიქობავას რვატომეულის პირველი ტომის გამოსვლას გამოხმაურებია. ეს რეცენზია ჟურნალ „მნათობში“ გამოუქვეყნებია.

ბატონმა ზურაბმა აღშფოთება ვერ დამალა ქართული ენის მიმართ განუკითხაობის გამო, რომ უამრავმა უცხო სიტყვამ წალეკა ენა და პასუხს არავინ აგებს, რომ აღარც ქართული ენის სახელმწიფო პალატა არსებობს და ქართული ენის ნორმების დამდგენი კომისიაც გაუქმდა.

**ლევან ღვინჯილიამ** ბევრი ისაუბრა ქართული ენის სიწმინდეზე, რომ დღეს ამ თვალსაზრისით საშინელი მდგომარეობაა. ახალი ქართველები ფულის დაზოგვის მიზნით სასტუმროებსა და რესტორნებზე მხოლოდ ინგლისურ წარწერებს აკეთებენ. „როდესაც ერთ-ერთ მათგანს ვკითხე, ამას რატომ აკეთებდა, მიპასუხა, კანონი არ მთხოვსო. კანონი თუ არ გთხოვს, გული ხომ გაქვს, არ გთხოვს-მეთქი, ვუთხარი. ლინგვისტური დაჩმორება არის ერის დაბეჩავება.“ ლევან ღვინჯილიამ რამდენიმე მაგალითიც მოიყვანა. პარლამენტარ შოთა მალაშხიას ჩიქორთული მეტყველებიდან (კერძოდ, სიტყვა გენოციდის არასწორი ხმარების თაობაზეძ.

ბატონმა **ავთანდილ არაბულმა** გამოსვლა ასე დაიწყო – ლევან ღვინჯილია არის მჭევრმეტყველი, მე კი – ვერმეტყველი. და ამ ლექსიკონზე მუშაობამ სულ დამამუნჯაო.

მისი თქმით, განმარტებითი ლექსიკონი ქართული ენის სრულ შესაძლებლობებს ასახავს, აქ ყველა დარგის რჩეული ლექსიკაა წარმოდგენილი. ის აკავშირებს ქართული ენის სივრცულ განვითარებას. ყველა კუთხის ენის სიმდიდრეს ასახავს. ამ ლექსიკონში ყველაფერია შეფასებული, რაც ენას მემკვიდრეობით გადმოეცა, მათ შორის მინარევები, ჟარგონიზმი. შეფასებულია ლექსიკური ერთეულის რაობა.

განმარტებით ლექსიკონს ორი დაუღლელი ხარი ქმნის – მწერლობა და ენათმეცნიერება. ერთობლივმა ხვნამ და თესვამ კი ნაყოფი გამოიღოო.

**დაბოლოს, ყველა გამომსვლელის სულისკვეთება ერთი იყო – დაწყებულია ქართველოლოგიის ახალი ეტაპი, რომელსაც განვითარება და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა სჭირდება, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, რომ ეს ლექსიკონი დიდი ტირაჟით გამოიცეს და ყველა რაიონის სკოლაში თითო ეგზემპლარი იდოს. მასწავლებლები დაინტერესებული არიან, მაგრამ სიძვირის გამო ვერ ყიდულობენ. ნუ ჩავატარებთ ძვირადღირებულ კონცერტებსა და შოუებს, და ეს თანხა ამ ლექსიკონის ტირაჟის გაზრდას მოვახმაროთ.**

**დროა, ხელისუფლებამ (თუ ის მართლა ეროვნული ხელისუფლებაა!) ამაზე იზრუნოს!..**

**თამარ შაიშმელაშვილი**

## საკადემიო პრემიების ლაურეატები – 2010

# მესამე შვილთაშვილის მოლოდინთან ერთად...

***მკითხველს ამთავითვე წარვუდგენ კიდევ ერთ ღირსეულ ლაურეატს – ამჯერად გიორგი მელიქიშვილის სახელობის პრემიისა – ნანა ხაზარაძეს. აი ქალბატონი ნანას „სავიზიტო ბარათი“: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე.***

***ნანა ხაზარაძე გახლავთ ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე გამოქვეყნებული 200-მდე შრომის, იმათ რიცხვში 11 წიგნის ავტორი; „შეთავსებით“ მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი: 2 შვილის დედა, 3 შვილიშვილის ბებია, 2 შვილთაშვილის დიდი ბებია და მესამის მომლოდინე (ღმერთმა მშვიდობიანად მოუვლინოს!); რაოდენ სასიამოვნო იქნებოდა ასეთ რესპონდენტთან საუბარი – „წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“... მანამდე კი მცირე „განმარტება“: პრემია მას მიენიჭა ნაშრომებისთვის „წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ძიებანი“ და „გიორგი მელიქიშვილი – 90“.***

**– ქალბატონო ნანა, მე ვიცი, რომ როგორც მკვლევარი, დიდი გიორგი მელიქიშვილის მოწაფე ბრძანდებით. გაიხსენეთ, თუ შეიძლება, აღმზრდელი...**

– ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელი მსოფლიო რანგის მეცნიერი რომ იყო, კარგად ვიცოდი და იმის მეცნიერულ შემოქმედებასაც ზედმიწევნით ვიცნობდი, მაგრამ როცა მომეცა სხვადასხვა ქვეყანაში ბატონი გიორგის მოგზაურობათა დღიურებისა და პირადი ჩანაწერების წაკითხვის შესაძლებლობა, სრულიად ახალი გიორგი მელიქიშვილი აღმოვაჩინე: მეოცნებე, გულღია, ლაღი, რომანტიკული, მსოფლიოში მოგზაურობისას ტბებში, ზღვებსა და ოკეანეებში ცურვით გატაცებული, მოჭადრაკე და ფეხბურთელი (თავდამსხმელი ყოფილაძ, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებთან ურთიერთობებისას ბავშვად ქცეული. არ მეგონა, თუ ოჯახის წევრთათვის ასე ნაცნობ, ჩემთვის კი აგრე უცნობ ბატონ გიორგის „გადავეყრებოდი“, აგრე უცნობს, თუმცა კიდევ უფრო საინტერესოს.




მადლობა განგებას, რომ ჩემს დიდ მოძღვართან 45-წლიანი, მარად კეთილად მოსაგონარი ურთიერთობა მარგუნა წილად.

**– მოდით, თქვენს პრემირებულ ნაშრომებზეც ვუამბოთ მკითხველს. სხვათა შორის, პირველ წიგნში აწერია „ვუძღვნი ჩემი მასწავლებლების ნათელ ხსოვნას“, რაც თქვენს მოწაფური მადლიერების მაღალ გრძნობაზე მეტყველებს...**

– ეს კრებული, ისე როგორც წინა წლებში დასტამბული ჩემი ოთხკრებული (ანუ სტატიების 4 კრებულიძ მოიცავს ძველაღმოსავლურ და ქართველოლოგიურ ძიებებს, ოღონდ იმათგან განსხვავებით, ამჯერად საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ქართველი ამაგდარი ისტორიკოსების სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლის ამსახველი ისტორიოგრაფიული ნარკვევები: გიორგი მელიქიშვილის, გრიგოლ გიორგაძის, ედუარდ მენაბდის, დავით ხახუტაიშვილის, დევი ბერძენიშვილისა, მასწავლებლებისაც და მეგობარ-კოლეგებისაც.

იმათ ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან ხელახალი შეხებისას უკვდავი პლუტარქეს პარალელურ ბიოგრაფიებთან დაკავშირებული სიტყვები გამახსენდა: „ბიოგრაფიების წერა სხვებისათვის დავიწყე... ვცდილობ ცხოვრების წესი ჩემი გმირების მიბაძვით გამოვასწორო... მათს საუკეთესო თვისებებს ვითავისებ. განა შეიძლება სხვა რამესთან ამ ნეტარების შედარება?..

ჩემს ასაკში, ბატონო თამაზ, ძნელად მისაღწევია ის, რომ ჩემი ისტორიოგრაფიული ნარკვევების გმირთა მაგალითზე გავხდე უკეთესი, ვიდრე ვარ, თუმცა სრულყოფილებისაკენ სწრაფვა დარჩენილ დროშიცაა შესაძლებელი.

მეორე დაჯილდოებულ ნაშრომზე კი გეტყვით, რომ პატივი მხვდა გიორგი მელიქიშვილის 90 წლისთავისათვის დამეწერა იმისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნი – 2008 წლისათვის. ბედნიერი ვარ, რომ ეს გავაკეთე. 200-გვერდიან ილუსტრირებულ წიგნში პირველადაა დაბეჭდილი ბატონი გიორგის შრომების ბიბლიოგრაფია.



**– რას იტყოდით, ორი წლის გასაყართან, მიმავალ 2010-ზე და მომავალ 2011-ზე?**

– წლეულს ორი განსაკუთრებით სასიხარულო დღე მქონდა. 11 მაისს საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმმა მომანიჭა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია და ბრინჯაოს მედალიონით დამასაჩუქრა – ეროვნული კულტურის გადარჩენა-აღორძინებაში შეტანილი მოკრძალებული წვლილისათვის. მეცნიერის საერთაშორისო დღეს, 10 ნოემბერს, გიორგი მელიქიშვილის საკადემიო სახელობითი პრემია გადმომეცა.

დიდი სურვილი მაქვს ჩემი მომზადებული საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათიის გამოქვეყნებისა. ის უკვე დაწერილია და ამგვარი სახით პირველია. უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, მას ერთვის ვრცელი კომენტარები. ძველი აღმოსავლური ტექსტების (აქადური, იეროგლიფურ-ლივიური, სპარსულ-ლურსმულიძ ნაწილი ჩემი თარგმნილია.

ვოცნებობ კოლექტიურ ნაშრომზე ჯავახეთის შესახებ მაღალკვალიფიციურ კოლეგებთან ერთად, თუ, რასაკვირველია, გამოჩნდება ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული სპონსორი. ალბათ, გასაგებია, ეროვნულობას რატომ ვუსვამ ხაზს: ნაშრომი ჯავახეთის პრობლემას დაუკავშირდება...

დამდეგ ახალ წელთან ბედნიერ შეხვედრასთან ერთად ამ ოცნების ასრულებაც ვუსურვე ქალბატონ ნანას.

**თამაზ ებანოიძე**

სიკეთე უკვალოდ არ ქრება

# ეს კაცი თანამედროვე ქართულ არმიას აშენებდა

**გენერალ ლერი აბაშიძეს, როგორც თვალსაჩინო მხედართმთავარსა და დიდ სამხედრო სპეციალისტს, საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე დღიდან იგი ემსახურა კეთილშობილ საქმეს – ქვეყნის შეიარაღებული ძალების შექმნას. და თუ დღეს ვამაყობთ საქართველოს არმიით, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი მშენებლობის საძირკველი დაფუძნებულია გენერალ ლერი აბაშიძის მაღალ სამხედრო პროფესიულ ოსტატობაზე.**

უიშვიათესი შემთხვევა საქართველოს უახლოეს ისტორიაში: გენერალი ლ.აბაშიძე იყო როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას, ისე მეორის – ედუარდ შევარდნაძის მთავარი სამხედრო მრჩეველი. სხვათა შორის, არც ერთ მათგანს არა თუ არ ჰქონდა სამხედრო გამოცდილება, არმიაშიც არასოდეს უმსახურია (!ძ. და ამ გარემოებას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა იმ მძიმე დროის საერთო სამხედრო პოლიტიკაზე. მაშინ მოკლე დროში ბევრი რამ გაკეთდა.

... ლერი აბაშიძე დაიბადა 1935 წლის 25 დეკემბერს ხაშურში. ორი წლისა იყო, როდესაც გარდაეცვალა მამა – ვანო აბაშიძე, პროფესიით ვეტერინარი ექიმი. დედას მის გარდა დარჩა სამი წლის და და ოთხი თვის ძმა ოთარი, შემდგომში პოლკოვნიკი. ისინი შეიკედლა დედის ძმამ ბ. ჩხეიძემ. ბავშვები მასთან იზრდებოდნენ, ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდში.

1954 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, არმიაში გაიწვიეს, საჰაეროსადესანტო ჯარებში იმსახურა. უმაღლესი საერთო სამეთაურო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაგზავნეს კიევის სამხედრო ოლქში, როგორც ლეიტენანტი, სათავეში ედგა ოცეულს. მალე ასეულის უფროსად დანიშნეს. შრომისმოყვარეობით, სამხედრო განსწავლულობით, უბრალოებითა და თავმდაბლობით ქართველმა ოფიცერმა მალე მოიპოვა ავტორიტეტი და აღიარება როგორც მეთაურთა, ისე ხელქვეითთა შორის. არადა, ეს პერიოდი – სამხედრო კარიერის დასაწყისი – დაემთხვა სსრ კავშირის მაშინდელი ლიდერის ნიკიტა ხრუშჩოვის ანტიქართულ კამპანიას. ქართველი ეროვნების ათასობით სამხედრო მოსამსახურე ვადამდე გაუშვეს რეზერვში, მათ ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს საკარიერო ზრდაში და ა.შ. გადარჩნენ, როგორც იტყვიან, ყველაზე ძლიერი ნებისყოფის, ნიჭიერები და... იღბლიანები. მათ შორის იყო ლერი აბაშიძეც.

გავიდა ხანი. 1968 წელს სამხედრო აკადემიის პირველი თანრიგით (წარჩინებითძ დამთავრების შემდეგ ლერი აბაშიძე დაინიშნა შორეული, ბაიკალსიქითა სამხედრო ოლქის ბატალიონის მეთაურად, სადაც ხუთი წელი იმსახურა. მოკლე დროში ბატალიონის მეთაურის თანამდებობიდან დაინიშნა პოლკის მეთაურის მოადგილედ, შემდეგ პოლკის მეთაურად, მალე კი – დივიზიის მეთაურის მოადგილედ. ლერი აბაშიძე 38 წლის ასაკში (!ძ დაინიშნა ციმბირსა და მონღოლეთში დისლოცირებული მოტომსროლელი დივიზიის მეთაურად. ლერი აბაშიძის დივიზია გახდა მოწინავე არა მხოლოდ ოლქში, ზედიზედ სამი წლის განმავლობაში ინარჩუნებდა პირველობას საბჭოთა იმპერიის შეიარაღებულ ძალებში. სხვათა შორის, ციმბირში მის დივიზიას მეტოქეობას უწევდა მეორე დივიზია ოლქის საუკეთესო გენერლის ანატოლი კამკამიძის მეთაურობით.

ქართველი ოფიცრის განსაკუთრებული ნიჭის აღიარებად იქცა მისთვის მაღალი სამხედრო წოდების – გენერალ-მაიორობის მინიჭება. მაშინ ის 40 წელზე ოდნავ მეტის იყო. ომისშემდგომი მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ლერი აბაშიძე გახდა ყველაზე ახალგაზრდა გენერალი ქართველთა შორის (!ძ. აქ ცოტა უკან უნდა დავიხიო. მახსოვს, სწორედ ამ მოვლენის შემდეგ, საქართველოს პრესაში გამოსაქვეყნებლად მოვამზადე მასალა გენერალ აბაშიძის სურათით. მაშინ ასეთი პუბლიკაციები იშვიათობა იყო, ვინაიდან საბჭოთა არმიაში მოქმედი ქართველი გენერლები ერთეულები იყვნენ, ადმირალი კი საერთოდ არ გყავდა; თუმცა პირველი რანგის კაპიტნები (თანაც როგორები !ძ გვყავდა – ალექსანდრე ჯავახიშვილი გახლდათ ამურის წყალქვეშა ნავების ფლოტილიის მეთაური, ხოლო პირველი რანგის ინჟინერ-კაპიტანი გურამ პირველი – თანამედროვე ატომური სარაკეტო წყალქვეშა კრეისერების სარემონტო ზესაიდუმლო ქარხნის უფროსი 18 ათასი მოსამსახურით. ორივე ეს თანამდებობა საადმირალოა, თუმცა... რას იზამ, ხელს უშლიდათ ქართული გვარი (!ძ. რამდენიც გინდა ილაპარაკე, მაგრამ ქართველი სამხედროების „წყნარ“ დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი. აქვე ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ალექსანდრე ჯავახიშვილი დამოუკიდებელ საქართველოში გახდა მისი პირველი კონტრ-ადმირალი (ფლოტის გენერალ-მაიორიძ.


ლ.აბაშიძე, ო.შალიკაშვილი, ა.კამკამიძე

1979 წელს გენერალ-მაიორი ლერი აბაშიძე დაინიშნა ციმბირის სამხედრო ოლქის კორპუსის მეთაურის მოადგილედ. ორი წლის შემდეგ კი დანიშნეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სამხედრო კომისრად, სადაც იმსახურა რვა წელზე მეტი, მოიხვეჭა აფხაზეთის მთელი მოსახლეობის სიყვარული და პატივისცემა. უკვე სამხედრო კომისრად ყოფნის დროს დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტის ისტორიულ-იურიდიული ფაკულტეტი. სწორედ აფხაზეთში მოხდა ჩვენი პირველი შეხვედრა. გულღია, მხიარული, განუმეორებელი ხიბლით ლერი აბაშიძემ ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ იქ შევნიშნე მისი თავისებურება – არ ისარგებლოს ლიფტით. მითხრა, რომ ამას ბავშვობიდან შეეჩვია, რომ ასე წვრთნის თავის გულს.

აქვე დავუმატებდი, რომ ლერი აბაშიძე იყო სპორტის ოსტატი საბრძოლო მანქანების ტარებაში, სპორტის ოსტატი ტყვიით სროლაში, ჰქონდა სპორტული თანრიგები ფეხბურთსა და ძალოსნობაში...

კარგად მახსოვს ლერი აბაშიძის დიდი სიხარული ქართველ გენერლებთან შეხვედრის დროს. ეს მოხდა თბილისში, ვაკის გამარჯვების პარკში. მაშინ ჩავიფიქრე მომეწყო ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველი გენერლების შეხვედრა. ეს მოხდა 1989 წლის 17 მარტს. ყველა გენერალი სრული სამხედრო ეკიპირებით, ორდენებით მოვიდა. იქვე გადაიღეს სამახსოვრო სურათი. სამწუხაროდ, 15 ქართველი საბჭოთა გენერლიდან დღეს ცოცხალი მხოლოდ სამია – ვალერიან გომელაური, ნოდარ გუჯაბიძე და ლევან შარაშენიძე... შემდეგ დაიწყო 9 აპრილის მოვლენები, მთელი საქართველო რომ შეძრა.

1989 წლის ბოლოს გენერალი ლერი აბაშიძე დანიშნეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილედ უმაღლესი სასწავლებლებისა და ჯარსგარეშე მომზადების დარგში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ამ ოლქში ასეთ პოსტზე ქართველი გენერალი დაასახელეს. ეს რთული დრო იყო. საბჭოთა კავშირი, რომ იტყვიან, სულს ღაფავდა. ცხელი წერტილები ჩნდებოდა არა მხოლოდ კავკასიაში – აზერბაიჯანსა და სომხეთში, არამედ საბჭოთა იმპერიის სხვა რეგიონებშიც. მძიმე და მტკივნეული იყო ყოველივე ეს ყოვლისმხილველი გენერლისთვის. სულ უფრო და უფრო ხშირად ვამჩნევდი ჭმუნვას მის კეთილ და ჭკვიან თვალებში. ის ხომ თავისი თანამდებობის სიმაღლიდან ბევრ რამეს ხედავდა. გენერალ ლერი აბაშიძეს დიდხანს არ უფიქრია – თავის მეგობარ გენერალ ჯონი ფირცხალაიშვილთან ერთად გაწყვიტეს ყოველგვარი კავშირი საბჭოთა არმიასთან და დაიწყეს ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს სამსახური.

საქართველოს მომავალმა პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიწვია გენერალი ლერი აბაშიძე თავის სამხედრო მრჩევლად. პროფესიონალმა სამხედრომ „პოზიციისა“ და „ოპოზიციის“ პოლიტიკური თამაშის უგულებელყოფით, დაიწყო ქართული არმიის შექმნა. უკვე 1991 წლის 30 აპრილს დაიწყო საქართველოს არმიაში პირველი გაწვევა. სწორედ ამ დღიდან იწყება თანამედროვე ქართული არმია. იმავე წლის ივნისში საქართველოში შეიქმნა სამხედრო-საზღვაო ძალები, სექტემბერში კი შეიქმნა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენერალ-მაიორი ჯონი ფირცხალაიშვილი. შემდეგ იყო საშინელება, როდესაც ქართველების ერთმა ნაწილმა შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო ქართველების მეორე ნაწილის წინააღმდეგ, თანაც პოლიტიკოსები ცდილობდნენ ამ პოლიტიკურ „თამაშში“ ჩაეთრიათ სამხედროები. ქართველი ხალხი ორად გაიყო.


ლერი აბაშიძე

უკვე მაშინ ლერი აბაშიძე, უძილო ღამეებისა და პოლიტიკური პოპულიზმისგან დაღლილი, მეუბნებოდა: „არმია იქმნება ერთი ძირითადი მიზნით – დაიცვას მამული, სამშობლო, ხალხი გარეშე მტრისაგან, დღეს კი ცდილობენ ჩაითრიონ იგი პოლიტიკურ ავანტიურებში“... სამაჩაბლო, აფხაზეთი. დიახ, ძნელი დრო იყო.

1992 წლის იანვრის ცნობილი მოვლენების შემდეგ ლერი აბაშიძესთან ერთად მომიწია მემსახურა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, სადაც ვიყავი პრესსამსახურის პირველი უფროსი. ბედი ისე აეწყო, რომ ჩვენმა გზებმა კვლავ გადაკვეთეს ერთმანეთი – ამჯერად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში, სადაც სახელმწიფო მრჩევლად დამნიშნეს და სამხედრო საქმე მიმყავდა.

1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო აფხაზეთ-საქართველოს ომი. მაშინ ცოტა ვინმეს თუ წარმოედგინა, რა მოჰყვებოდა ამას. რამდენჯერმე მომიწია გენერალ ლერი აბაშიძესთან ერთად აფხაზეთში ყოფნა და საქართველოს ამ მარგალიტის ტრაგედიის ხილვა.

არასოდეს დამავიწყდება 1992 წლის სექტემბერი, როდესაც, ყველას დაუკითხავად, გენერალი ლერი აბაშიძე, მომავალი გენერალი ვლადიმერ ჩიქოვანი და მე გავფრინდით გუდაუთში გუდაუთის დაჯგუფების სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსეი სიგუტკინის მიერ ჩვენთვის გამოგზავნილი პირადი შვეულმფრენით. იქ შევხვდით სერგეი შამბასაც. როგორ სჯეროდათ მათ ლერი აბაშიძის დიდი ავტორიტეტის, მის მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვისა, მაგრამ, ვაი რომ... პოლიტიკოსებს სხვა რამ უნდოდათ (!ძ.

სწორედ ამ მძიმე დროს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარესთან და სამხედრო საბჭოს მთავარსარდალთან შეიქმნა სამხედრო კონსულტანტ-ინსპექტორების ჯგუფი. ამ ჯგუფის ხელმძღვანელად, ერთდროულად ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლის მთავარ სამხედრო მრჩევლად დაინიშნა გენერალ-მაიორი ლერი აბაშიძე, ვინაიდან უფრო გამოცდილი, ერუდირებული და ავტორიტეტული ქართველი სამხედრო მაშინ ქვეყანაში არავინ იყო.

უამრავი პრობლემა დააწვა გენერალ ლ.აბაშიძეს. ერთ-ერთი უმთავრესი იყო – საქართველოს ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნა, მაშინ ხომ იყვნენ ეროვნული გვარდიაც, „მხედრიონიც“, საკუთრივ პატარა ჯარიც თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში, იყო სხვა ფორმირებებიც. სასწრაფო წესით წყდებოდა არმიაში პირველი გაწვევის ორგანიზაციისა და განხორციელების, ოფიცრებისა და სერჟანტების კადრების მომზადებისა და გადამზადების, მომარაგების, შეიარაღების, ერთიანი შეიარაღებული ძალების სტრუქტურის საკითხები. და ეს ყოველივე ქვეყნის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის ნგრევის ფონზე.

მაგრამ, მიუხედავად წარმოუდგენელი სირთულეებისა, გენერალი ლ.აბაშიძე თავდადებით ასრულებდა თავის მოვალეობებს.1993 წლის 15 თებერვალს გენერალ-ლეიტენანტის მორიგი სამხედრო წოდება მიანიჭეს. სხვათა შორის, თავის მეგობარ ჯონი ფირცხალაიშვილთან ერთად, რომელსაც ეს წოდება მოგვიანებით, 1999 წლის ივნისში მიენიჭა, ისინი ერთადერთნი არიან ქართველ საბჭოთა გენერალ-მაიორებს შორის, ვისაც მიენიჭა მორიგი სამხედრო წოდება. აქვე მინდა განსაკუთრებული ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სამხედრო საქმეში უმეცარი მაღალი რანგის პოლიტიკოსების მცდელობით მოხდა გენერლის წოდების დევალვაცია. თავად განსაჯეთ: მარტო 1992-93 წლებში ცნობილი სამწუხარო მოვლენების ფონზე გენერლის წოდება მიენიჭა 29 ოფიცერს, ოთხი გენერალ-ლეიტენანტი გახდა, ერთი კი – გენერალ-პოლკოვნიკი (!ძ. შემდეგ კიდევ უფრო კომიკური სიტუაცია იყო.

საქართველოს პრეზიდენტის მთავარ სამხედრო მრჩევლად ყოფნის პერიოდში ლერი აბაშიძე ყოველმხრივ უწყობდა ხელს საქმიანი კონტაქტების დამყარებას და სამხედრო თანამშრომლობას უკრაინასთან და თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა სტრატეგიულ პარტნიორებთან. მასთან განსაკუთრებით დამეგობრდნენ ძმები შალიკაშვილები – ჯონი და ოთარი, როგორც მათ უწოდებდა ლერი აბაშიძე...

მაგრამ უზარმაზარ პასუხისმგებლობას, მუშაობის დაძაბულ რიტმს, თავისი ხალხის ყველა უბედურებასა და გაჭირვებას, მის გულზე რომ გადიოდნენ, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინათ საქართველოს ამ შესანიშნავი შვილის ჯანმრთელობაზე. ლერი აბაშიძე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა 1994 წლის 30 ივლისს, 59 წლის ასაკში. საქართველომ დაკარგა თავისი ერთ-ერთი გამორჩენილი შვილი, ვისითაც შეუძლია და უნდა იამაყოს კიდეც ჩვენმა ხალხმა.



ლევან დოლიძე,
საქართველოს
დამსახურებული
ჟურნალისტი

ინფორმაცია

## „შავი ზღვის ტერმინალის“ ტვირთბრუნვამ დეკემბრის მდგომარეობით უკვე 7 მლნ ტონას მიაღწია

შავი ზღვის ტერმინალი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე ყულევში, რომლის მფლობელია აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია. ტერმინალი იღებს აზერბაიჯანულ ნავთობს, გადატვირთავს მას ტენკერებზე და აგზავნის მთელ მსოფლიოში. შავი ზღვის ტერმინალს აქვს ყველაზე დიდი ტვირთბრუნვა საქართველოში არსებულ სხვა მსგავს საზღვაო ტერმინალებს შორის. იგი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, ასევე აქვს უმაღლესი დონის სანავთობო რეზერვუარები, 320 ათას კვადრატულ მეტრზე გადაჭიმული სანავთობო რეზერვუარები. პერსპექტივაში დაგეგმილია მისი 380 ათას კვადრატულ მეტრამდე გაზრდა. ჩატვირთვის ოპერაციების განსახორციელებლად ტერმინალს აქვს ორი ნავსადგომი, სადაც შესაძლებელია 100-ათას ტონიანი გემების მიღებაც. ტერმინალს ასევე აქვს საკუთარი სარკინიგზო ხაზი.

ტერმინალი აღჭურვილია მთელი რიგი ტექნოლოგიური კონსტრუქციებითა და მექანიზმებით, რომელიც განკუთვნილია ნავთობის მისაღებად, ჩასატვირთად და შესანახად. მას აქვს ასევე დამხმარე და სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული შენობები. ტერმინალს გააჩნია მაღალი დონის ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საწარმო. ავტომატური მართვის სისტემის ტექნოლოგიური პროცესების საფუძველზე ასევე შესაძლებელია ელექტრონული კონტროლი.

ჯი-ეიჩ-ენი

პიროვნება

# გამოჩენილი ფიზიკოსი და მეცნიერების ორგანიზატორი

***100 წელი შესრულდა აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის დაბადებიდან. იგი, ეკუთვნოდა იმ მეცნიერთა პლეადას, რომლებიც ერთ პიროვნებაში აერთიანებდნენ მკვლევარსა და ორგანიზატორს. მას შესწევდა უნარი ეხელმძღვანელა კოლექტივისათვის, რომელიც აერთიანებდა ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის, მყარი სხეულებისა და კვანტური სითხეების ფიზიკის, პლაზმის ფიზიკისა და ბიოლოგიური სისტემების ფიზიკის მკვლევარებს. ელეფთერ ანდრონიკაშვილის დევიზი იყო იმ საქმეში პირველობა, რომელსაც ხელს ჰკიდებდა. მისთვის მთავარი იყო ყოველი ექსპერიმენტული ამოცანის გადაჭრისას საკუთარი მეთოდის შემუშავება. ამ პრინციპების განხორციელება წითელ ხაზად გასდევდა ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობას, რომელსაც იგი მრავალი წლის განმავლობაში უძღვებოდა.***



**აკადემიკოსი ელეფთერ ანდრონიკაშვილი – 100**

1910 წლის 25 დეკემბერს ცნობილ პეტერბურგელ იურისტს ლუარსაბ ანდრონიკაშვილს (ანდრონიკოვს) შეეძინა მესამე შვილი. ლუარსაბ ანდრონიკაშვილს კლასიკური განათლება ჰქონდა მიღებული და არ არის გასაკვირი, რომ თავის ორ ვაჟს მრავლისმთქმელი სახელები შეურჩია – უფროსს ირაკლი და უმცროსს ელეფთერი, რაც ძლიერებასთან და თავისუფლებასთან არის ასოცირებული.

1921 წლის აგვისტოში ანდრონიკაშვილები თბილისში გაემგზავრნენ სპეციალური სარკინიგზო ვაგონით, რომელიც გამოუყვეს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის შალვა ნუცუბიძის თაოსნობით. ეს იყო ყმაწვილი ელეფთერის პირველი სტუმრობა საქართველოში. შემდეგში ელეფთერ ანდრონიკაშვილი თავის მოგონებებში წერდა: **„თბილისში ძალიან სწრაფად გაიღვიძა ჩემში იქამდე სადღაც მთვლემარე პატრიოტიზმმა. სიტყვა მივეცი ჩემს თავს, სარგებლობა მომეტანა ჩემი ერისათვის“.**

ზაფხულობით ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ოჯახი სოფელ ოჟიოს ეწვეოდა ხოლმე, სადაც 1872 წელს დაიბადა და 1880 წლამდე, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში შესვლამდე, ცხოვრობდა ლუარსაბი. **„კახეთი აქამდე რჩება ჩემთვის მასშტაბად, რომლითაც ვზომავ ჩვენი და უცხო მხარეების სილამაზეს. ჩემს მეხსიერებაში წარუშლელია ბავშვობის ხანის შთაბეჭდილებები – მრავალხმიანი ხალხური სიმღერები და საუცხოო საეკლესიო ხუროთმოძღვრების ნიმუშები“.** – იხსენებს ელეფთერ ანდრონიკაშვილი.

1927 წელს ელეფთერ ანდრონიკაშვილი შედის ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1932 წელს, ინჟინრად მუშაობას იწყებს საავიაციო მასალების გამოცდის განყოფილებაში.

1933 წელს, იმხანად თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანმა ნიკოლოზ მუსხელიშვილმა, 23 წლის ელეფთერ ანდრონიკაშვილი მიიწვია თბილისში დოცენტის მოვალეობის შემსრულებლად. 1935 წელს ე. ანდრონიკაშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1937 წელს ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს ე. ანდრონიკაშვილს დაევალა ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის ჩამოყალიბება და მისი ხელმძღვანელობა. ამ ამოცანის შესასრულებლად ე. ანდრონიკაშვილმა თბილისის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა იმ დროისათვის თანამედროვე ტიპის ექსპერიმენტული ლაბორატორია.

ამასობაში ელეფთერ ანდრონიკაშვილს უკვე ულვივოდა სურვილი, თავისი მეცნიერული ინტერესები დაეკავშირებინა დაბალი ტემპერატურების პირობებში მიმდინარე მოვლენების შესწავლასთან. იმ დროისათვის უკვე აღმოჩენილი იყო საოცარი დაბალტემპერატურული მოვლენები, რომელთა მექანიზმი იდუმალებით იყო მოცული. კერძოდ, ჰოლანდიელმა ჰენრიკ კამერლინ-ონესმა 1911 წელს აღმოაჩინა ლითონების ზეგამტარობა–საკმაოდ დაბალ ტემპერატურაზე ელექტროწინაღობის მეყსეული დაცემა გაუზომავად დონემდე. როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ეს თვისება კვანტური მექანიკის კანონების მაკროსკოპულ მასშტაბში გამოვლენის საოცარი მაგალითია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ, როგორც მომდევნო წლებში თეორიული კვლევების შედეგად გაირკვა, კვანტური მექანიკის მოქმედების არეალის განვრცობა მაკროსკოპულ ობიექტებზე ბუნების უნივერსალური მოვლენაა. ამავე ხასიათის მოვლენაა კვანტური სითხეების (კერძოდ თხიერი ჰელიუმის) გადასვლა ზედენად მდგომარეობაში ყველა თანმდევი ეკზოტიკური თვისებების თანხლებით. 1945 წელს ე. ანდრონიკაშვილი პეტრე კაპიცას მიწვევით ჩადის მოსკოვში ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტში ზედენადი ჰელიუმის უცნაური თვისებების შესწავლის მიზნით და ლ. ლანდაუს, ერთი შეხედვით, პარადოქსული თეორიული მოდელის შესამოწმებლად. ლ. ლანდაუს მიხედვით ზედენად მდგომარეობაში მყოფი ჰელიუმი ორკომპონენტიანი სითხეა, რომლის ერთი კომპონენტი სრულიად მოკლებულია სიბლანტეს, ხოლო მეორე კომპონენტი ბლანტია და უნდა იწვევდეს სითხეში მოძრავი სხეულის დამუხრუჭებას.

ე. ანდრონიკაშვილმა ლ. ლანდაუს თეორიული მოდელის შესამოწმებლად შეიმუშავა მახვილგონივრული ექსპერიმენტული დანადგარის მოდელი, რომლის მეშვეობითაც მან მოახერხა გაეზომა ზედენად მდგომარეობაში მყოფი თხიერი ჰელიუმის ე.წ. ნორმალური (ანუ სიბლანტის მატარებელი) კომპონენტის სიმკვრივე. აღმოჩნდა, რომ ამ კომპონენტის სიმკვრივე ტემპერატურის შემცირებისას მცირდება და თანდათანობით ასპარეზს უთმობს ზედენად (ანუ სიბლანტისა და ენტროპიის არმქონე) კომპონენტს. ყოველივე ეს იყო დადასტურება ლ. ლანდაუს თეორიული მოდელის მართებულობისა. ე. ანდრონიკაშვილის მიერ მოპოვებული ეს შედეგი, რომელიც მან 1946 წელს გამოაქვეყნა, მომავალში შევიდა ზედენადი ჰელიუმის თვისებებისადმი მიძღვნილ არაერთ მიმოხილვაში, მონოგრაფიასა თუ სახელმძღვანელოში და მის ავტორს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. 1952 წელს ე. ანდრონიკაშვილის მიერ მოპოვებული ფუნდამენტური მნიშვნელობის შედეგები სტალინური პრემიით აღინიშნა.

1948 წლის გაზაფხულში თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა ნიკო კეცხოველმა სთხოვა ე. ანდრონიკაშვილს, დაბრუნებულიყო თბილისში ახლად დაარსებულ ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე სამუშაოდ, რომელიც იმხანად საქართველოში ფიზიკის განვითარების ფლაგმანად მოიაზრებოდა. სწორედ ამ ვითარებაში გამომჟღავნდა ე. ანდრონიკაშვილის საორგანიზატორო ნიჭი. ახალი ფაკულტეტის ლაბორატორიების რიცხვმა მნიშვნელოვნად იმატა. ახალგაზრდა მეცნიერთა კადრები მზადდებოდა კარგად აღჭურვილ ექსპერიმენტულ ბაზაზე. ასე ეყრებოდა საფუძველი ფიზიკის წარმატებულ განვითარებას საქართველოში.

1950 წელს ე. ანდრონიკაშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა. ამავე წელს იგი არჩეული იქნა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1955 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად.

ფიზიკის ინსტიტუტში კვლავ გაიელვა ე. ანდრონიკაშვილის სამეცნიერო და ორგანიზატორულმა ტემპერამენტმა. იგი ვერ ეგუებოდა ფიზიკის მხოლოდ ერთი დარგით შემოფარგვლას. მისი ინტერესების მასშტაბი გაცილებით უფრო ფართო იყო ვიდრე, თუნდაც, საოცრად მიმზიდველი კვანტური სითხის – ზედენადი ჰელიუმის თვისებების კვლევა. ე. ანდრონიკაშვილის მიზანი იყო, ინსტიტუტი ექცია მრავალდარგოვან სამეცნიერო ცენტრად, სადაც კონდენსირებული გარემოს, ანუ მყარი სხეულებისა და კვანტური სითხეების მხარდამხარ კვლევები გაიშლებოდა ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკაში, პლაზმის ფიზიკასა და ბიოლოგიური სისტემების ფიზიკაში. ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჩამოთვლილი ფიზიკის ეს დარგები აყალიბებენ ჰარმონიულ სივრცეს ბუნების ფუნდამენტური კანონზომიერებების დასადგენად და საფუძველს უქმნიან ამ კვლევების პრაქტიკული მიზნებისათვის გამოყენებას.

ჯერ კიდევ 1949 წელს ე. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით თბილისის უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მკვლევართა ჯგუფმა მოაწყო ექსპედიცია იალბუზზე, ხოლო 1950 წელს ზღვის დონიდან 3950 მეტრის სიმაღლეზე ამოქმედდა კოსმოსური სხივების შემსწავლელი „ყინულოვანი ბაზა“. იმხანად მთელი ინფორმაცია მანამდე უცნობი ელემენტარული ნაწილაკების შესახებ სწორედ კოსმოსური სხივების წყალობით აღწევდა ჩვენამდე. მალევე ქართველ ფიზიკოსთა ენთუზიაზმი დაგვირგვინდა ე.წ. „უცნაური“ ნაწილაკების დაფიქსირებით (პირველად საბჭოთა კავშირში). როგორც შემდგომში გაირკვა, ეს პირველი წარმატება იყო საწინდარი იმ მნიშვნელოვანი წვლილისა, რომელიც შეიტანეს შემდგომში ქართველმა ფიზიკოსებმა (ექსპერიმენტატორებმა და თეორეტიკოსებმა) ნაწილაკთა ფუნდამენტური თვისებების დადგენაში. კიდევ ერთი მიმართულება, რომელიც დააფუძნა ე. ანდრონიკაშვილმა ფიზიკის ინსტიტუტში, არის ბიოლოგიური სისტემების ფიზიკა.

მნიშვნელოვანია ე. ანდრონიკაშვილის წვლილი მყარი სხეულების მექანიკური, სითბური და ოპტიკური თვისებების შესწავლაში. მყარი სხეულების ამ ფუნდამენტურ მახასიათებლებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სხვადასხვა ტიპის დეფექტები, რომლებიც არღვევენ კრისტალური გისოსის იდეალურად პერიოდულ სტრუქტურას. ამის შედეგად ყალიბდება რეალური კრისტალების პრაქტიკული მნიშვნელობის იმგვარი თვისებები, რომლებიც მასალთმცოდნეობისთვის უმნიშვნელოვანესია.

მყარ სხეულებში დეფექტების წარმოქმნის არაერთი მექანიზმი არსებობს და მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურია ნეიტრონული დასხივება, ხოლო ნეიტრონების მძლავრი წყაროა ბირთვული რეაქტორი. და აი, ე. ანდრონიკაშვილის ენერგიული მცდელობის შედეგად, 1959 წელს ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვულ ცენტრში ამოქმედდა კვლევითი ბირთვული რეაქტორი, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ინსტიტუტის ექსპერიმენტატორთა შესაძლებლობები. ასე ჩამოყალიბდა დაბალტემპერატურული მასალათმცოდნეობის მიმართულება, რომლის ფლაგმანიც საბჭოთა კავშირში ფიზიკის ინსტიტუტი იყო.

ე. ანდრონიკაშვილი თითქმის 40 წლის განმავლობაში ედგა სათავეში ამჟამად მისი სახელის მატარებელ ფიზიკის ინსტიტუტს. მისი ხელმძღვანელობით ფიზიკის ინსტიტუტმა მაღალი საერთაშორისო რეპუტაცია მოიპოვა. ამისი დასტურია ის, რომ ფიზიკის ინსტიტუტს სხვადასხვა დროს ესტუმრა მრავალი ნობელის პრემიის ლაურეატი, რომლებმაც თავიანთი ვიზიტებით პატივი მიაგეს გამოჩენილ მეცნიერსა და საქართველოში თანამედროვე ფიზიკის არაერთი მიმართულების ფუძემდებელს.

**გიორგი ხარაძე,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი.

ინფორმაცია

## კობა სუბელიანი დეზინფორმატორია?

**მოძრაობა „თავისუფალი საქართველო“ კობა სუბელიანს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს.**

**„მინისტრის განცხადება, როგორც ხშირ შემთხვევაში, ამჯერადაც სრული სიცრუეა. გვსურს საჯაროდ ვკითხოთ ბატონ მინისტრს: თუ სამინისტრომ ერთი და იგივე პირებზე კომპენსაციები მართლა რამდენჯერმე გასცა, ეს რატომ გააკეთა და მეორეც – ვთხოვთ, გამოაქვეყნოს იმ დევნილების სია, რომელთაც არაერთხელ აქვთ აღებული კომპენსაცია. შესაძლოა დევნილთა საზოგადოებამ მათში თავად სუბელიანის ან სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნების ნათესავები ამოიცნოს“, – ნათქვამია მოძრაობის აფხაზეთის ორგანიზაციის განცხადებაში.**

**აღსანიშნავია, რომ კახა კუკავას მოძრაობა სუბელიანს იმ ობიექტების სიასაც უგზავნის, რომელ ჩასახლებებში მცხოვრებ დევნილებსაც „არანაირი კომპენსაცია არ მიუღიათ“.**

## გარემოს დაცვის ინსპექცია მოსახლეობას მიმართავს



**ნუ მოჭრით ნაძვის ხეებს! აღნიშნული მოთხოვნით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექცია მოსახლეობას წინასაახალწლოდ მიმართავს და მოუწოდებს სანერგე მეურნეობებში სპეციალურად გამოყვანილი ნაძვის ხეები შეიძინონ.**

**ამასთან, მკაცრდება კანონი ხე-ტყის უკანონო გადაზიდვასთან დაკავშირებით. დღეიდან ძალაში შედის ცვლილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის მიხედვითაც ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების შემთხვევაში პირი 1000 ლარის ოდენობით დაჯარიმდება.**

**აღსანიშნავია, რომ კანონში ცვლილების შეტანამდე ხეტყის უკანონო ტრანსპორტირება 50 ლარიდან 400 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განცხადება

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2010 წლის 11 ნოემბრის №210-ში გამოქვეყნებულ საკონკურსო განაცხადში ცვლილების შეტანის შესახებ**

**ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე საბუთების შემოტანის ვადა გაგრძელდეს 2010 წლის 29 დეკემბრის 12 საათამდე.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.manuscript.ge**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „სტუმრებს“ სერიოზულად მიხედავენ: პუტინმა ნება დართო

**რუსეთის პრემიერმა, როდესაც შეხვდა ფეხბურთის ფანატებს და ვრცლად წარმოაჩინა თავისი პოზიცია უკანასკნელ პერიოდში გაჩაღებულ ეროვნებათაშორის კონფლიქტებთან დაკავშირებით, მიუთითა მიმართულებაც, რომელზეც უნდა იმუშაოს ხელისუფლებამ. მან ვერ მოასწრო დაბრუნებულიყო „სპარტაკის“ გულშემატკივართა ჩხუბში დაღუპული ეგორ სვირიდოვის საფლავიდან, რაც მოსკოვის ხელისუფლებამ უმალვე ჩამოაყალიბა ახალი ორგანო ეროვნული პოლიტიკის მუშაობის სფეროში, დედაქალაქის შინაგან საქმეთა მთავარმა სამმართველომ კი გადაწყვიტა ჩამოაყალიბოს ეთნიკურ კრიმინალურ დაჯგუფებებთან ბრძოლის განყოფილება.**

თავის მხრივ, მოსკოვის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო აპირებს აგრეთვე შექმნას ბრძოლის ეთნიკურ დამნაშავე დაჯგუფებებთან განყოფილება. ამის შესახებ ოთხშაბათს განაცხადა დედაქალაქის მთავარმა მილიციონერმა ვლადიმირ კოლოკოლცევმა. თავის გამოსვლაში მან მიუთითა, რომ მოსკოვში ყველა დანაშაულთა დაახლოებით 70 პროცენტი ხდება ჩამოსულების მიერ, რომელთა ეროვნებაც შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსს არ დაუსახელებია.

ამავე დროს, ვლადიმირ კოლოკოლცევმა სთხოვა ჟურნალისტებს, რომ არ მოახდინონ მისი სიტყვების სპეკულირება და არ გააკეთონ განმაზოგადებელი დასკვნები. თუმცა, შეიძლება, მოსკოვის მთავარ მილიციონერს სულაც არ ეშინოდა, რომ ვინმე გააკეთებს განზოგადებას – იგი ხომ იქნება ახალი პოლიტიკური ტრენდის ფარგლებში, რომელიც წამოაყენა ვლადიმერ პუტინმა სამშაბათს ფეხბურთის ფანატებთან შეხვედრის დროს, შემდეგ კი მოინახულა ეგორ სვირიდოვის საფლავიც. ეს ტრენდი ვარაუდობს, როგორც მინიმუმი, საგნებს ეწოდოს თავისი სახელები, ყალბი პოლიტიკური კორექტულობის გარეშე ეთნიკურ დანაშაულებებთან დაკავშირებით.



შეგახსენებთ, რომ სამშაბათს პრემიერ-მინისტრი მოულოდნელად მივიდა რუსეთის ფეხბურთის კლუბების ფანატების გაერთიანებაზე. შეხვედრა დაიწყო წუთიერი დუმილით სვირიდოვის ხსოვნის აღსანიშნავად. პუტინი აშკარად ცდილობდა ფანატები გამოეყო ექსტრემისტებისგან, იგი მოითხოვდა: „თქვენ ეს უნდა აღიქვათ, როგორც შეტევა ყველა თქვენგანის წინააღმდეგ, დამოუკიდებლად ცხოვრების ადგილისა, ეროვნებისა და რელიგიური რწმენისა“.

ამის შემდეგ ვლადიმერ პუტინმა წარმოთქვა მგზნებარე სიტყვა რუსეთის მრავალეროვნულობის შესახებ, შემდეგ კი გადავიდა თავისი სიტყვის მეორე ნაწილზე – „გზავნილზე ფანატებისადმი“, რომელიც უკვე აღარ იყო ასეთივე მშვიდობიანი და გაისმა როგორც გაფრთხილება სწორედ ჩრდილოეთი კავკასიიდან და აზიიდან გამოსულთა მისამართით.

ეს ყოველივე მეტყველებს იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობის მასობრივი გამოსვლები, მათ შორის სლავი ნაციონალისტებისა, აიძულებს ხელისუფლებას შეცვალოს თავისი პოზიცია ეროვნებათაშორისი შეუთავსებლობის პრობლემასთან დაკავშირებით რუსეთის დიდ ქალაქებში, სადაც ძირეული მოსახლეობას რუსები შეადგენენ.

და აი ახალი შემობრუნებაც: პრემიერი პუტინი ფაქტობრივად მხარს უჭერს ზომიერ რუს ნაციონალისტებს და საჯაროდ ლაპარაკობს ჩამოსულთა არასწორ, გამაღიზიანებელ ან შეურაცხმყოფელ ქცევაზე, მოსკოვის ხელისუფლება კი უმალვე აცხადებს, რომ მზად არის ებრძოლოს ყოველივე ამას მთელი ძალით. სხვათა შორის, პუტინის „სიმამაცე“, მისი მზადყოფნა დაიკავოს ერთ-ერთი მხარე, თუნდაც დროებითი, ასეთ რთულ და შედეგების აღმთქმელ საქმეში, მეტყველებს მის რეალურ წონაზე „ტანდემში“. ფაქტობრივად, მან „შეუსწორა“ პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს, თანაც ამ უკანასკნელმა პრემიერის ასეთ ეფექტიან დემარშს დუმილით უპასუხა. და რაც მთავარია – პუტინმა წარმოაჩინა პოლიტიკური სიბრძნე, არ დაიწყო ახალგაზრდების გამოსვლების შეფასება ქვეყნის დიდ ქალაქებში და შემდეგ მოიქცა ცნობილი წესის შესაბამისად: თუ არ შეგიძლია შეაჩერო პროცესი, შეეცადე სათავეში ჩაუდგე მას, შემდეგ კი – ან გამოიყენო სასიკეთოდ ან მოახრჩო იგი ხელის მოხვევით.

РОСБАЛТ

# დაშორიშორებული ინტერესების შესახებ

**გაზეთში „მოსქოუ თაიმს“ დაიბეჭდა სტატია თამამი სათაურით: „როგორ მოვაწესრიგოთ საქართველოს კონფლიქტი“. მის ქვეშ კი არის ტექსტი, რომელიც შეადგინეს ერთად მომუშავე და სულ უფრო და უფრო პოპულარულმა ავტორებმა სემუელ ჩარაპმა ამერიკული პროგრესის ცენტრიდან და კორი უოლტმა ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტთან არსებული ელიოტის სკოლიდან. თავად სტატია, მიუხედავად ხმამაღალი სათაურისა, საკმაოდ მშვიდი აღმოჩნდა.**

ავტორები საუბრობენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ცალმხრივად გამოცხადებულ დეკლარაციაზე ძალის გამოუყენებლობის შესახებ, და 16 დეკემბერს ჟენევაში გამართული მოლაპარაკების მე-14 რაუნდში დაინახეს შესაძლებლობა – ჩამონტაჟდეს დამატებითი მექანიზმი მყიფე, თითქმის ეფემერულ სქემაში, რომელიც უშიშროების უზრუნველყოფას ითვალისწინებს. უფრო კონკრეტულად რომ ვილაპარაკოთ, მათ მოუწოდეს მხარეებს მოილაპარაკონ მცირე, მაგრამ სასარგებლო ამოცანასთან დაკავშირებით – გააფართოონ ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის მანდატი კონფლიქტის ზონის ორივე მხარეზე. ამჟამად მეთვალყურეები მოქმედებენ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელსაც თბილისი აკონტროლებს. რასაკვირველია, ეს კონფლიქტის გადაწყვეტა როდია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში წინადადება ღირებულია.

არ არის „მოქმედ ინსტრუმენტზე“ უკეთესი, ვიდრე ძალის გამოუყენებლობის რეჟიმის განმტკიცება, ვიდრე ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის გაფართოება. შეგახსენებთ, რომ მისია მუშაობს საქართველოში 2008 წლის ოქტომბრიდან, გალსა და ახალგორში. ეს რაიონები შედიან აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის შემადგენლობაში და დასახლებული არიან ძირითადად ქართველებით, – აღნიშნულია სტატიაში. – ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიას შეუძლია გადაწყვიტოს უამრავი პრობლემა, დიდმასშტაბიანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია უშიშროებასთან, თუ ექნება შესაძლებლობა, შევიდეს გალისა და ახალგორის რაიონებში. კონფლიქტებმა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რასაც თან ახლავს ძალადობა, შეიძლება გამოიწვიოს შეიარაღებულ მოქმედებათა ესკალაცია“.

ეს არის ბუნებრივი ნაბიჯი საერთო სიტუაციის გაუმჯობესებისთვის მშვიდობასთან და სტაბილურობასთან დაკავშირებით რეგიონში, ეს არ არის მასშტაბური გეოპოლიტიკური ღონისძიება და არავისთვის საფრთხეს იგი არ წარმოადგენს. შემდეგ ჩარაპისა და უოლტის სტატიაში აღნიშნულია, რომ მოვლენათა ასეთ განვითარებას უნდა მიესალმონ თბილისშიც, სოხუმშიც, ცხინვალშიც და მოსკოვშიც.

მაგრამ არ გასულა რამდენიმე საათიც კი სტატიის გამოქვეყნებიდან, რომ ჟენევიდან, სადაც მიმდინარეობს მოლაპარაკება მრგვალ მაგიდასთან, შემოვიდა სამწუხარო და არაკონსტრუქციული ახალი ამბები. 17 დეკემბერს „სივილ.ჯის“ საიტზე გამოქვეყნდა სტატია, საიდანაც ჩანს, რომ თბილისი გაწბილებულია მოლაპარაკების მიმდინარეობით.

„საქართველო კატეგორიულად მოითხოვს, რომ რუსეთმაც იკისროს ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ ანალოგიური ცალმხრივი დეკლარაციის შესაბამისად, რომელიც გააკეთა პრეზიდენტმა სააკაშვილმა 23 ნოემბერს. მაგრამ რუსეთი კატეგორიული წინააღმდეგია, აცხადებს, რომ იგი არ არის კონფლიქტის მონაწილე, კონფლიქტის მონაწილეები კი არიან, ერთი მხრივ, თბილისი და ცხინვალი და მეორე მხრივ, სოხუმი და თბილისი. რუსეთი ცდილობს მოახდინოს პოზიციონირება, როგორც „შუამავალმა“ და მიესალმება ოფიციალური სოხუმისა და ცხინვალის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს ძალის გამოუყენებლობის შესახებ ჟენევაში მოლაპარაკების მე-14 რაუნდის დაწყებამდე“.

მრავალმხრივ არის სწორი, რომ ჩვეულებრივი მიდგომა პრობლემებისადმი, რომლებიც წამლავენ სივრცეს თბილისსა და მოსკოვს შორის, ემყარება კონკრეტულ საკითხებს, პიროვნებებსა და მოვლენებს (ლტოლვილთა დაბრუნების უფლების, სააკაშვილის პრეზიდენტობის, 2008 წლის აგვისტოს ომის საკითხებს და ა.შ.ძ, და არა უფრო მარტივ ელემენტარულ მიზეზებს კონფლიქტისა.

ცუდი არ იქნება დავიწყოთ იმით, რომ გავიხსენოთ: თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო საქართველო ცუდად არის დაცული კონფლიქტებისგან. ამ ქვეყნისთვის „გზაგასაყარის“ და „ხიდის“ წოდება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის რაღაც ზოგადად იქცა, მაგრამ ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ საქართველო მართლაც იმყოფება სამი რეგიონალური ზესახელმწიფოს (რუსეთის, თურქეთისა და ირანისძ კონფლიქტების თავმოყრის ზონაში, თანაც აქ ხშირად შემოდიოდნენ უცხოქვეყნელები (ავღანელები, ბერძნები, რომაელები, მონღოლები, არაბები, ბრიტანელები, ამერიკელები და ა.შ.ძ.

თუ თანამედროვე ეპოქაზე ვისაუბრებთ, საქართველოს ეროვნული ინტერესები მნიშვნელოვნად უპირისპირდება რუსეთის ეროვნულ ინტერესებს. სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა 2004 წელს და თავის უმაღლეს ამოცანად დაისახა გადაჭრით და სამუდამოდ გამოიყვანოს საქართველო ხელისუფლების ძველი სისტემიდან, რომელიც რუსეთმა ააგო რეგიონში. საბჭოთა პერიოდში, თავისი სიძლიერის პიკის მიღწევის შემდეგ, რუსეთის ამ იმპერიულმა სისტემამ ხელში ჩაიგდო საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი. საქართველო, როგორც ამიერკავკასია, ითვლებოდა და დღესაც ითვლება რუსეთის მიერ რეგიონში უშიშროების უზრუნველყოფისა და გავლენის საკვანძო ელემენტად.

ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველომ უარყო ეს სისტემა და არ უნდა გვიკვირდეს, რომ რუსეთი ამაზე ამგვარ რეაგირებას ახდენს. და მართალია, მოსკოვის მოქმედებანი, რომლებიც ითვალისწინებენ კამპანიას საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციისთვის, დიდად არ შეესაბამება დიპლომატიისა და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების თანამედროვე სტანდარტებს. მაგრამ მათ მთლად ირაციონალურსაც ვერ უწოდებ. როდესაც ირღვევა პრინციპები, რომლებიც რუსეთისთვის ძნიან ელემენტარულ საფუძვლებს საკუთარი უშიშროების წარმოდგენის შესახებ, ბუნებრივია, რომ მოსკოვი დგამს ნაბიჯებს, რომლებიც „ამ პრობლემის“ გამოსწორებას ითვალიწინებენ.

რასაკვირველია, ეს ყოველივე – მხოლოდ ზედაპირული მეთვალყურეობაა. მაგრამ ესეც აჩვენებს, რომ გასაღები მოსკოვსა და თბილისს შორის არსებული დავებისა, აგრეთვე მათი გადაწყვეტისა არის არა იმდენად კონკრეტული პრობლემებისა და მოვლენების გახსენებაში, რამდენადაც დაძაბულობის ფუნდამენტური წყაროს შესწავლაში. თუ ამას ამ თვალსაზრისით შევხედავთ, მაშინ მნიშვნელობა აღარ ექნება იმას, თუ ვინ დაიწყო პირველმა ომი, სად იცხოვრებენ ლტოლვილები, ვინ იქნება ხელისუფლების სათავეში – სააკაშვილი თუ საქართველოს ყოფილი ელჩი გაეროში ირაკლი ალასანია. რასაკვირველია, ყოველივე ამას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული სისტემის მშენებლობის თვალსაზრისით, მაგრამ დიამეტრალურად დაპირისპირებული ეროვნული ინტერესების შეჯახება მიგვიყვანს იქამდე, რომ საქართველოს და რუსეთის პრობლემები ვერასოდეს გადაწყდება ვერც მრგვალ მაგიდასთან და ვერც რომელიმე სხვა საერთაშორისო შუამავლობის გზით, თუ არ მოხდება რაიმე მასშტაბური ცვლილებები.

Eurasia Review

## დედამიწის ზურგზე



**ყაზახეთში 70 წლის „ერის ლიდერი“ ნაზარბაევი სურთ უარჩევნებოდ დატოვონ პრეზიდენტად კიდევ ათი წლით**

დეპუტატებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეების დიდი ჯგუფი ხელს უწყობენ იდეას, მოეწყოს რეფერენდუმი ნაზარბაევის უფლებამოსილებათა გაგრძელების შესახებ – ნაცვლად 2012 წლის არჩევნებისა, რომელთა შედეგებიც „ისედაც ცნობილია“. ადრე პრეზიდენტის მრჩეველი ირწმუნებოდა, რომ არჩევნები გაიმართება, როგორც ამას კონსტიტუცია ითვალისწინებს.

* * *

**სამხრეთმა კორეამ 40 წუთის განმავლობაში გამართა ქვეყნის ისტორიაში უდიდესი სახმელეთო სასწავლო სროლები**




სწავლება გაიმართა სადემილიტარიზაციო ზონის მახლობლად, რომელიც ქვეყანას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისგან ჰყოფს. სწავლებაში მონაწილეობა მიიღო 800-ზე მეტმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა, აგრეთვე საბრძოლო ტექნიკამ, მათ შორის 36-მა თვითმავალმა ჰაუბიცამ, ექვსმა გამანადგურებელმა და შვეულმფრენებმა. სროლის დროს გამოყენებულ იქნა საბრძოლო ჭურვებიც.

* * *

**რუსეთიდან იაპონიის ელჩი გაიწვიეს ცუდი მუშაობის გამო**



იაპონიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შეცვალოს თავისი ელჩი რუსეთში მასახარუ კონო, რომელსაც ფაქტობრივად დააკისრეს პასუხისმგებლობა შეცდომებისთვის მოსკოვთან ურთიერთობაში. იაპონიის ახალი წარმომადგენელი მოსკოვში გახდება ჩეხეთში ამჟამინდელი ელჩი სინძი ხარადა – პროფესიონალი რუსისტი.

* * *

**თურქმენეთის პრეზიდენტს მიუძღვნეს ოდა მაღალი წოდების „წლის ადამიანის“ მინიჭებასთან დაკავშირებით**

ქვეყნის მთავარ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნდა „სიხარულის სიმღერა“, რომელიც შექმნა რესპუბლიკის სახელხო მწერალმა გოზელ შაგულიევამ. „წლის ადამიანის“ წოდება ბერდიმუხამედოვს მიანიჭა რუმინეთის საერთაშორისო ურთიერთობათა და ეკონომიკური თანამშრომლობის ინსტიტუტმა, რომელმაც შექების სიტყვებიც არ დაიშურა.



## ეს საინტერესოა

### სად არის „ყინვაგამძლე“ მობილური?

**ყინვაში ჩემი მობილური ითიშება ხოლმე — ხან ბატარეა დაჯდება, ხან ეკრანი „დაცურავს“. ტექნიკის ასეთი განვითარების დროს, როდესაც კოსმოსში ისე დადიან, თითქოს საკუთარ სახლში იყვნენ, რატომ არის, რომ ვერ შეძლეს გაეკეთებინათ „ყინვაგამძლე“ მობილური?**

**ა.ტიურინი, იაროსლავლი**



ჩვენ მივმართეთ მოსკოვის რადიოტექნიკის, ელექტრონიკისა და ავტომატიკის სახელმწიფო ინსტიტუტს. „ნებისმიერ აკუმულატორს ტემპერატურის დაცემის დროს უქვეითდება მოცულობა. მასში დაგროვილი ენერგიის გათავისუფლება ხდება ქიმიური პროცესების ხარჯზე, ყინვაში კი ისინი ძნელად მოქმედებენ, — ამბობს ელექტრონული ხელსაწყოების კათედრის გამგე გენადი კისელიოვი. — „ყინვაგამძლე“ აკუმულატორები არსებობს, მაგრამ არა მასობრივ წარმოებაში. თანაც ისინი საიმედო როდია. გაიხსენეთ, ორი წლის წინათ საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში მოხდა ავარია — იქ „დაჯდა ბატარეა“. თხევადი კრისტალები, რისგანაც შედგება ტელეფონის დისპლეი, გარკვეული ტემპერატურის დროს წყვეტს მუშაობას. და არაფერი ხელმისაწვდომ ფასად ჯერჯერობით არ გამოუგონებიათ“.

ასე რომ, ერთ რამეს გირჩევთ: გაათბეთ ტელეფონი, სანამ დარეკვას დაიწყებდეთ და ატარეთ იგი შინაგან ჯიბეებში.

### ხაშიმ ტაჩის დაიჭერენ?

**ევროპაში კვლავ განახლდა ისტორია კოსოვოს პრემიერ-მინისტრის ხაშიმ ტაჩის ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში მონაწილეობის შესახებ. ბოლოს და ბოლოს, მას გაასამართლებენ?**

**კ.ხოდაკოვიჩი**



— არ არის გამორიცხული, — მიაჩნია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სლავიანობის მეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს პიოტრ ისკენდეროვს. — დასავლეთი დაინტერესებულია, რომ სერბეთმა თუნდაც დე ფაქტო აღიაროს კოსოვოს დამოუკიდებლობა. მაგრამ ხ.ტაჩის პიროვნება, რომელსაც იქ სამხედრო დამნაშავედ მიიჩნევენ, დაბრკოლებას უქმნის ნორმალურ მოლაპარაკებას. ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდათ, რომ ეს ოდიოზური ლიდერი დროებით ჩრდილში აღმოჩნდეს. მომავალი დამოკიდებულია ბატონ ტაჩის და მისი გარემოცვის პოზიციაზე. თუ იგი წავა, ყველაფერი შემოიფარგლება შინაგანი გამოძიებით, რომელსაც მოაწყობს ევროკავშირის პოლიციური მისია კოსოვოში. ხოლო თუ პრემიერი გამწვავებაზე წავა, არ არის გამორიცხული, რომ მას „გადასცემენ“ და მოაწყობენ გამოძიების ინიცირებას საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ფარგლებში.

### ქალის მკერდი სასარგებლოა მამაკაცებისთვის

**წავიკითხე, რომ გერმანელმა მეცნიერებმა დაადგინეს: ქალის მკერდის მოფერება აუმჯობესებს მამაკაცის ჯანმრთელობას, იცავს მას ჰიპერტონიისგან და ვარჯიშსაც კი ცვლის. ნუთუ ეს სიმართლეა?**

**გ.ვირიგინი, ტამბოვი**



უპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ექიმი-სექსოლოგი, პროფესორი ვლადიმირ ტაკტაროვი:

— მეცნიერებმა მოაწყვეს საინტერესო ექსპერიმენტი: მამალ შიმპანზეებს ასარჩევად უჩვენებდნენ ბანანს და დედალი მაიმუნის ფოტოგრაფიას მოწოდების პოზაში. უმრავლეს შემთხვევაში ისინი ფოტოს არჩევდნენ. ადამიანი, როგორც უმაღლესი პრიმატი, შორს არ წასულა მაიმუნისგან. ვარაუდობენ, რომ ღია მკერდის მზერა მამაკაცის ორგანიზმში ზრდის ტესტოტერონის ჰორმონს, ეს კი ზრდის სტიმულს, განწყობილებას. მაგრამ შემდეგ აუცილებელია განტვირთვა — სექსი ან ფიზიკური დატვირთვა, ჩხუბიც კი. სწორედ ესენი იქნებიან გულსისხლძარღვთა დაავადებათა პროფილაქტიკა და არა თავად მზერის ფაქტი. შეიძლება წარმოიქმნეს ნეგატიური ეფექტიც — შიშველი სხეულით ზედმეტად დატკბობა გადაიზრდება დამოკიდებულებაში ან გარდაიქმნება ჩვეულებრივ მოვლენად და უკვე აღარ გამოიწვევს აღგზნებას.

სხვათა შორის, ქალებს, როგორც წესი, არ სჭირდებათ ვიზუალური ეფექტები. მათ სიამოვნებთ, როდესაც მათით ტკბებიან და არიან აღფრთოვანებული (უმჯობესია თუ ეს ხმამაღლა იქნება ნათქვამი). ასე რომ, პროცესი ხელსაყრელია როგორც სუსტი, ისე ძლიერი სქესისათვის.

## წიგნი

# ერუდიციის ზეობა

**კითხულობ ბატონ სოსო სიგუას დიდებულ ნაშრომს „კულტუროლოგიის საფუძვლები“ და უნებლიეთ თრთი, მერე კი გინდა-არ გინდა ჩვენი გუშინდელი დღის (რომელიც სინამდვილეში ათასწლეულებს ითვლის) ღრმა ანალიზს ეძლევი და უნებლიეთ აღმოგხდება კაცს — უჰ, შენი კვნესა მე, რა გზა გაგვივლია ადამიანებს — ადამიანურობისაკენ, ეს რა კომშარია! და უნებლიეთ იმეორებ წიგნში მოყვანილ დიდი გერმანელი ფილოსოფოსის შპენგლერის (რომლის წიგნმა „ევროპის დაღმასვლა“ თავის დროზე შოკში ჩააგდო საზოგადოება). სენტენციას — კაცობრიობა ეს ცარიელი სიტყვაა.**




საერთოდ სოსო სიგუას მთელი შემოქმედება ინტელექტის ზეიმია, ხოლო ამ წიგნში იგი ისტორიის ისეთ ღრმულებში იხედება, მკითხველს წარსულის ისეთ ნაპრალებს უჩვენებს, რომ ბევრ სერიოზულ ისტორიკოსს თუ არ დაჯაბნის, არც ჯაბანი ერქმევა. „ადამიანი“ ეს ამაყად ჟღერს — ამ დოგმას გვიჩიჩინებდნენ ათეული წლები, მაგრამ გაეცნობი სოსო სიგუას წიგნს და მიხვდები, აქ ბევრი არაფერია საამაყო, უფრო მეტიც — დასაფიქრებელი და მოსანანიებელია. მკითხველს შეიძლება ხანდახან ზედმეტად მატერიალიზებული მოეჩვენოს წიგნში განხილული ჩვენი წარსული, თითქოსდა სულიერება სადღაც იკარგება, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით, სწორედაც სულიერებამდე მისასვლელი ურთულესი ზიგზაგია გამოკვეთილი, ვიტყოდი თამამად ამ ნიჭიერად დაწერილ, ჩვენი რაობის შესასწავლად შექმნილ წინამდებარე წიგნში. იგი პროფესიონალურად შექმნილი სახელმძღვანელოა და ამავე დროს ფართო მკითხველის გონსაც მოესალბუნება.

ამ წიგნს რომ წაიკითხავ (და იგი იკითხება ინტერესით და ლამის ერთის ამოსუნთქვით), კაცმა შესაძლებელია წამოიძახო: — აი, საპირწონე ჩემი და ცხოველისა, რა გზა გამივლია, მაგრამ ჭკუით თუ არ ვიქნები, უკან დასაბრუნებელი უფსკრული მარადიულად, საკუთარი აჩრდილივით როგორ არ მცილდებაო.

ის ჯაფა, ის ინტელექტი, ის ერუდიცია, ის ნიჭი, რომელიც ბატონმა სოსო სიგუამ ამ მრავალპლანიანი წიგნის პირველ ნაწილში ჩადო, უდაოდ ზედნაშენია ჩვენი ყოფისა, ჩვენი წარსულისა და ამიტომაც ასმაგად ფასობს იგი. ბატონი სოსო ჭეშმარიტი მეცნიერის, მკვლევარისა და შემოქმედის რუდუნებით იკვლევს ქართული ერის გენეზისსაც და მას განიხილავს კაცობრიობის ისტორიული ანალების ფართო ჭრილში. და როცა ამას აკეთებს, მთელის არსით შეიგრძნობ რაოდენ დიდი მადანი აღმოგიჩენია, საზოგადოების განვითარების კანონთა დასამუშავებლად და ხშირად ახალი პრიზმით განსახილველად. წიგნში დამატების სახით შეტანილია ფრაგმენტები მისივე წიგნიდან „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“, რომელიც უთუოდ ამდიდრებს, პირდაპირ არ ვიცი რა ვუწოდო ამ წიგნს — სახელმძღვანელო, საზოგადოების განვითარების ინტელექტუალური ოპერაცია თუ „ჰომო საპიენსის“ სრულყოფილი, ფიზიოლოგიური, ბიოლოგიური, სულიერი კვლევითი გენეზისი. ალბათ, ყველა ერთად და ეს უპრიანიც იქნება.

ბატონმა სოსო სიგუამ ამ წიგნით კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ იგი ქართული ინტელექტუალური ელიტის პატივსაცემი წარმომადგენელი და ღირსეული წევრია. მისთვის წარმოუდგენელია, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება და ყველა მისი ნაშრომი, რომ პროფესიონალიზმის და ერუდიციის ზეობაა, კიდევ ერთხელ თვალნათლივ წარმოჩინდება წიგნში — „კულტუროლოგიის საფუძვლები“. ამიტომაც მადლობის ღირსია იგი ჩვენი საზოგადოებისგან, ამას იმსახურებს ბატონი სოსო და მეც ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემის მხრივ მადლობას ვუხდი იმ სულიერი უზაკვლობისათვის, რომელიც განმაცდევინა უკლებლივ ყველა მისი ნაშრომის კითხვამ, რომლის ბოლო ნიმუშზე დიდი სიამოვნებით მოგახსენეთ ორიოდ სიტყვა.

**ნოდარ კობერიძე**

## დემოგრაფია

# სოლიდური ნაშრომი კავკასიის მოსახლეობის შესახებ

**ახლახან ნიუ-იორკში ინგლისურ ენაზე გამოიცა პროფესორების ვაჟა ლორთქიფანიძისა და ანზორ თოთაძის სქელტანიანი ნაშრომი „კავკასიის მოსახლეობა“. მასში განხილულია კავკასიის მოსახლეობის პრობლემები უძველესი დროიდან XXI საუკუნის დასაწყისის ჩათვლით. ესაა მთელი კავკასიის მოსახლეობის შესწავლის პირველი ცდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს ნაშრომის მნიშვნელობას.**




წიგნში გაშუქებულია კავკასიის, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მრავალეთნიკური რეგიონის, ეთნიკური ისტორია, კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზის პროცესი, კავკასიის ხალხების ისტორიის განმავლობაში მომხდარი დემოგრაფიული ცვლილებები და მოცემულია მათი ანალიზი. წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა XIX საუკუნეში ჩრდილო კავკასიის ხალხების ასიათასობით წარმომადგენლის თურქეთში გადასახლების პროცესს, რასაც შენიღბულად ახორციელებდა მეფის რუსეთი, რათა დაცარიელებულ ადგილებზე კაზაკ-რუსები დაესახლებინა. ამავე ასპექტში განხილულია რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის კოლონიზაციის, რუსული კოლონიების შექმნის საკითხები. ნაშრომში აგრეთვე დიდი ადგილი ეთმობა XX საუკუნეში კავკასიის ხალხების — ყარაჩაელების, ჩეჩნების, ინგუშების, ბალყარელებისა და საქართველოს ისტორიული პროვინციიდან — სამცხე-ჯავახეთიდან მაჰმადიანი მოსახლეობის ტოტალური დეპორტაციების განხორციელებას შუა აზიისა და ყაზახეთის რესპუბლიკებში, სადაც მათთვის შეიქმნა სპეციალური დასახლებები, ფაქტობრივად რეზერვაციები. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეაფერხა კავკასიის ბუნებრივი დემოგრაფიული განვითარება.

კავკასიაში დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების უკეთ შეცნობისა და სრულყოფილი ანალიზის, მათი თვისებრივი შეფასების, მოსახლეობის გამრავლების გრძელვადიანი ტენდენციების გათვალისწინების მიზნით, ნაშრომში სპეციალური თავი ეძღვნება დემოგრაფიულ ვითარებას პოსტსაბჭოთა სივრცეში. ავტორების განსაკუთრებული კვლევის ობიექტია შეიარაღებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები კავკასიაში, გაანალიზებულია კონფლიქტების ანატომია, განხილულია სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი, კონფლიქტები ყოფილ სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და ჩეჩნეთში.

წინამდებარე გამოკვლევის მთავარ ამოცანად მაინც დასახულია კავკასიის მოსახლეობის რიცხოვნობის, დინამიკისა და სტრუქტურის შეფასება. ამ მიზნით გაანალიზებულია მოსახლეობის რიცხოვნობის, ეთნიკური შემადგენლობისა და ტერიტორიული განლაგების, ბუნებრივი მოძრაობის, საერთაშორისო და შიდა მიგრაციის, ენობრივი, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის საკითხები. თანამედროვე დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების ნათლად წარმოჩენისათვის ნაშრომში სათანადო ადგილი ეთმობა რეტროსპექტრულ მიმოხილვას. ამ ასპექტშია განხილული ცალ-ცალკე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების — ადიღეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილო ოსეთის — ალანიის, ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის რესპუბლიკების მოსახლეობა.

**სანდრო ალექსიძე**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

◉ ფარიკაობა

# ირანში, ხმალთა კვესებით...



**ქართველმი მოფარიკავეები ირანში მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგ ეტაპში მონაწილეობდნენ. 7 ქვეყნის წარმომადგენლებთან პაექრობაში მიხეილ მარდალეიშვილმა იყოჩაღა. ჯგუფში მან სამი შეხვედრა მოიგო და ამდენივე დათმო. მეთექვსმეტედფინალში ირანელი ამირ მუხტარი დაამარცხა – 15:7, შემდეგ თურქი პეჰირ ფირატსა (15:14) და ახალგაზრდებში აზიის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ ფარსად ბაჰერს (ირანი, 15:8) სძლია, ნახევარფინალში კი აჰმედ ანტთან (თურქეთი) წააგო 10:15 და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა.**

შეჯიბრებაში კიდევ სამი ქართველი მუშკეტერი ასპარეზობდა: დავით უკლებამ მე-12 ადგილი დაიკავა, ხოლო სანდრო ბაზაძე და იური ნებიერიძე, შესაბამისად, მე-18 და 22-ე ადგილებს დაყაბულდნენ.

ჩვენს მოფარიკავეებს უახლოესი შეჯიბრება 8-9 იანვარს აქვთ – თეოდორა კახიანი იტალიაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს თასის ეტაპზე გამოვა, მიხეილ მარდალეიშვილი კი ნაახალწლევს ზედიზედ ორ ტურნირში ჩაებმება.

**ლექსო ცინცაძე**

სურათზე: მიხეილ მარდალეიშვილი.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◉ უნივერსალური ორთაბრძოლები

# ბოლო აკორდის „ოქრო“ და „ბრინჯაო“

**ანტალიაში ხუთ დღეს გრძელდებოდა მსოფლიოს ჩემპიონატი ორიგინალურ უნივერსალურ საბრძოლო სპორტში. მედლებისთვის 20 ქვეყნის 300-მდე წარმომადგენელი იბრძოდა. საქართველოს დელეგაციამ ორი ოქროს და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**



მძიმე წონაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა 17 წლის თბილისელი თემურ თომაძე (მწვრთნელი სოსო დოლიძე), რომელმაც ორიენტალშიც იასპარეზა და „ბრინჯაოს“ დასჯერდა. 68 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონობა ახალგორელმა ტარიელ შერმადინმა (მწვრთნელი გიორგი ყარყარაშვილი) მოიპოვა. 86 კილოში მესამე იყო ზესტაფონელი ირაკლი ნიშნიანიძე (ყარყარაშვილი).

ჩვენი ნაკრები ანტალიაში სპორტის სამინისტროს და საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის დახმარებითა და თანადგომით გაემგზავრა.

საქართველოს უნივერსალური ორთაბრძოლებისა და ორიენტალის თავისუფალი ბრძოლების ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი სოსო დოლიძე) 2010 წლის საუკეთესო სპორტსმენებიც გამოავლინა. ესენი არიან: 1. ტარიელ შერმადინი; 2. რაულ თეთრაული; 3. თემურ თომაძე.

**გიორგი გაგუა**

◉ მძლეოსნობა

# „სპორტის დედოფლის“ რჩეულნი



**ქართველმა მძლეოსნებმა წლეულს რამდენიმე ასპარეზობაში იყოჩაღეს. განსაკუთრებით თბილისელმა ბირთვის მკვრელმა მარიამ ქევხიშვილმა გამოიჩინა თავი. იგი ამერიკაში სწავლობს და იქაურ შეჯიბრებებში გამოდის.** 12 ტურნირი მოიგო, მათ შორის – სტუდენტური ლიგა, სამჯერ საქართველოს ზამთრის რეკორდი გააუმჯობესა, ევროპის B დივიზიონის პირველობაზე ოქროს მედალი დაიმსახურა, ხოლო კონტინენტის ჩემპიონატზე ბარსელონაში მეათე იყო. ვაჟებში საქართველოს ორგზის რეკორდსმენი ენდრიკ ზელბერშტეინი (ახალციხე) გამოირჩა. მალტაში მან ევროპის B დივიზიონის პირველობა მოიგო 400 მეტრზე რბენაში. ამავე დისტანციაზე საქართველოს და უკრაინის ჩემპიონატებშიც ყველას აჯობა. მძლეოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ წლის შედეგების შეჯამებისას სწორედ ეს ორი სპორტსმენი დაასახელა საუკეთესოდ.

**ლაშა დიდია**

◉ ვლადიმერ რუბაშვილი – 70

# ყველა დროის ჩემპიონი

**„იგი ყველაზე ნიჭიერი ქართველი მოჭიდავე იყო სამოციანი წლების დამდეგს. აბსოლუტურად უშიშარი!.. ველოდი, რომ მისი ნიჭი არნახულად გაიფურჩქნებოდა... მაგრამ, ეტყობა, არ ეწერა“, – ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში კაცი-ლეგენდა გივი კარტოზია.**




დასტურ! ჭიდაობის სტაჟიან ქართველ ქომაგებს დღესაც ახსოვთ რუბაშვილის ელვისებური ფანდები, თავაწეული ჯიქურ რომ მიიწევდა მეტოქეებზე. გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს გამოჩნდა დიდ სარბიელზე. 1960 წელს 19 წლის ჭაბუკი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში რომის ოლიმპიადაზე წაიყვანეს, სადაც მე-3 ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს კი ტოკიოში მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა. იმავე წელს ტალინში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზეც პირველობა არავის დაუთმო. სახელოვანმა ფალავანმა, „კლასიკურ“ და თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონმა ავგუსტ ენგლასმა სახალხოდ განაცხადა: „ისეთი მოჭიდავე, როგორიცაა რუბაშვილი, ჯერ არ მინახავს“. საკავშირო პირველობებზე მსგავს წარმატებას ქართველმა ფალავანმა კიდევ ორჯერ მიაღწია, საერთაშორისო ტურნირებზეც რამდენჯერმე გაიმარჯვა და ყველგან ყველას ხიბლავდა ლამაზი ჭიდაობით. ამიტომაც შეარქვეს ყველა დროის ჩემპიონი.

სამწუხაროდ, ნიჭის ფართოდ გაფურჩქვნას ვერ ეღირსა – 1964 წელს 23 წლისა ავტოკატასტროფაში დაიღუპა...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. თუმცა კი ხსოვნა დარჩა ტკივილიანი. წლეულს 26 დეკემბერს მას 70 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით ოჯახის ინიციატივით დაისტამბა შესანიშნავი წიგნი (იდეის ავტორი მზია ხეთაგური, რედაქტორი თამაზ კვაჭანტირაძე, შემდგენლები – ლეილა აბუაშვილი-რუბაშვილი და ლია რუბაშვილი) „და დარჩა ხსოვნა“, რომელშიც ქომაგები ინტერესით წაიკითხავენ სახელოვანი ფალავნების მოგონებებს, პრესასა და წიგნებში გამოქვეყნებულ ნარკვევებს, ამონარიდებს ჟურნალ-გაზეთებიდან. წიგნი უხვად არის ილუსტრირებული.

**ვაჟა ვლადიმერიძე**

◉ ინტერნეტიდან

## პოლიტიკური საფუძველიც ედო?

**როგორც ნიქოზიიდან იტყობინებიან, თურქეთსა და კვიპროსს შორის დაძაბული ურთიერთობა გახდა კალათბურთში გამოწვევის თასზე ადგილობრივ „აპოელსა“ და თურქულ „კარშიაქას“ მატჩის შემდეგ წარმოშობილი შეხლა-შემოხლის მიზეზი. ფინალური სასტვენის შემდეგ ადგილობრივმა გულშემატკივრებმა დაიწყეს სტუმრებისთვის სხვადასხვა ნივთების სროლა, შემდეგ კი მოედანზე შესვლაც სცადეს.**



პოლიციელებმა სწრაფად მოახერხეს წესრიგის დაცვა და თურქი სპორტსმენების გასახდელებში გადაყვანა. არც ერთი კალათბურთელი არ დაშავებულა.

მაშინ 500-ზემეტმა ფანატმა სცადა გასახდელშიც შეჭრა. კარიც ჩაანგრიეს, მაგრამ პოლიციამ ისევ ივაჟკაცა, აქაც რომ არაფერი გამოუვიდათ, გულშემატკივრებმა ქვები დაუშინეს წესრიგის დამცველებს და ირგვლივ ყველაფრის ნგრევა დაიწყეს. დაშავდა რამდენიმე პოლიციელი, ბოლოს ცრემლსადენი გაზიც გამოიყენეს. დააპატიმრეს სამი თხუთმეტი წლის ახალგაზრდა.

კვიპროსის პრეზიდენტმა დიმიტრის ქრისტოფიასმა ბოდიში მოუხადა თურქულ მხარეს ამ უსიამოვნო ინციდენტისთვის.

## პოპულარობა ემატება

**ყოველდღიურად პოპულარობა ემატება ამერიკელ მოდელ კაილა კოლინზს. აქ გასაოცარი არაფერია – ასეთი ლამაზმანი ბევრი როდია. 2008 წელს ფეხბურთის ეროვნული ლიგის მოთამაშის დეანჯელო სმიტის სატრფო აირჩიეს Playmate-დ. კაილა მხოლოდ 23 წლისაა, ის აგრძელებს პიკანტურ ფოტოსესიებში გადაღებას და სხვადასხვა გასართობ ტელეგადაცემებში მონაწილეობას.**

ამას წინათ კოლინზი მონაწილეობდა რეალითი-შოუს „მე ცნობილი ვარ. წამიყვანეთ აქედან!“ ბრიტანულ ვერსიაში. მისი შინაარსი კი დაახლოებით ასეთია – შოუ-ბიზნესის, სპორტის, თეატრის, მწერალთა ცნობილი წარმომადგენლები – ვარსკვლავები გადაჰყავთ უკაცრიელ კუნძულზე, ისინი ველურ ბუნებაში უნდა „ცოცხლები დარჩნენ!“

კაილა არ უჩიოდა არაკომფორტულ პირობებს. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ, მართალია, კუნძულზე საჭმელიც კი აკლდათ, მაგრამ კოლინზის ისედაც არც თუ პატარა მკერდი საკმაოდ გაიზარდა.



◉ სეზონის ფინიშზე

# ბალოტელი – საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი

**ინგლისური „მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელი მარიო ბალოტელი დაასახელეს ევროპის 2010 წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად. ამ პრემიას გადასცემს იტალიური გამოცემა Tuttosport. მეორე ადგილზე გავიდა „არსენალის“ ნახევარმცველი ჯეკ უილზერი, მესამეზე კი – „ატლეტიკოს“ მეკარე დავიდ დე ხეა.**



„მე არ ვიცი, ვინაა უილზერი. როდესაც ერთხელ კიდევ ვითამაშებთ „არსენალთან“, მასაც მივაქცევ ყურადღებას. შეიძლება, მას ჯილდო ვაჩვენო და შევახსენო, რომ სწორედ მე გავიმარჯვე“, – მოაქვს ბალოტელის სიტყვები გაზეთს Daily Mail. იტალიის ნაკრების ფორვარდმა შემდეგ ისიც დაუმატა, რომ უნდა ინგლისის ჩემპიონატის მოგება და ევროპის ლიგაში გამარჯვება, რათა გააგრძელოს „ინტერში“ დაწყებული გამარჯვებათა სერია.

წინა წლებში ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელები იყვნენ უეინ რუნი, სესკ ფაბრეგასი და ლიონელ მესი. მარიოს თქმით, ის ოსტატობაში მხოლოდ არგენტინელ მესის ჩამორჩება. შემდეგ კი ისიც თქვა, რომ უნდა „ოქროს ბურთი“ მოიპოვოს.

ზაურ ბოლქვაძის ხსოვნას

# ნაგომარიდან მოდიოდა ბიჭი...




**ამ ბოლოს რომ შევხვდი (აღარ მახსოვს ვისი დაკრძალვა იყო), უკვე ველარ მიცნო, ერთიანად წართმეოდა თვალისჩინი, ვუთხარი, ვინც ვიყავი, გაუხარდა, გაიბადრა...**

**თურმე, ბოლო შეხვედრა იყო...**

**ხოლო, ასე გავიცანით ერთმანეთი:**

რენო ბიძია გექახისო, – ბავშვი გამოეგზავნა რენო მანთიძეს. ჩიტს ხელის აქნევა უნდოდაო, – რამდენიმე წუთში უკვე მეზობელთან ვიყავი, ანდა, რა შემაყოვნებდა, რენოს ბინიდან გამოსული ქართული სიმღერების გუგუნი მთელ ჯანაშიას ქუჩას ედებოდა, მღეროდნენ და რას მღეროდნენ ბიჭები!.. ჰოდა, კიდევაც რომ არ დაეძახა, ცოტა ხანში დაუპატიჟებლად მაინც შევიდოდი რენოსთან.

ოღონდ ამათთვის ახლოს მესმინა.

ოღონდ, ამ მგალობლებთან ვმჯდარიყავი...

მაინც, ის რომელი იყო, პირველ ხმას რომ უწევდა და უწევდა, მართლაც, ნემსის ყუნწში რომ აძვრენდა მოძახილს?..

ესაო, ჩემი მამიდაშვილი ზაურ ბოლქვაძეაო, – მოგვიანებით გავიგე რენოსგან.

აქამდე პოეტ ზაურ ბოლქვაძეს ვიცნობდი, ახლა მომღერალი ზაურ ბოლქვაძე გავიცანი – საოცარი ხმის პატრონი, სუფრის მშვენება და ლაზათი, კეთილშობილი და სახელიმილიანი გურული, სხვათა შორის, უჩვეულოა – თვალნაღვლიან-ღიმილიანი...

– არავითარი მუსიკალური განათლება მაგას არ მიუღია, – მითხრა ერთხელ რენომ, – ჩვენ ნაგომრიდან ვართ, ოზურგეთში ერთად დავამთავრეთ საშუალო სკოლა... უკვე მაშინ უკრავდა აკორდეონს, გიტარას, ფორტეპიანოს... ერთხანს მიშა შავიშვილის „შვიდკაცაში" მღეროდა, მერე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში იყო... ეგ არის და ეგ!..

მოგვიანებით ზაურ ბოლქვაძე საქართველოს ტელევიზიის ანსამბლ „ჟურნალისტის" შემადგენლობაში შევნიშნე, ტელეჟურნალისტებს, ძმაბიჭებს ახალჩამოყალიბებულ გუნდში მიეწვიათ და, ზაურიც „უბერავდა", უკვე შეიძლება ითქვას, „პირველი ვიოლინო" იყო. მერე „ქართული ხმები" დაერქვა ამ ანსამბლს, სიმღერით შემოიარეს ბიჭებმა ევროპისა და ამერიკის ბევრი ქვეყანა, ქართული ხმები მიმოაბნიეს უცხოეთში, ზაურ ბოლქვაძესაც ეკუთვნოდა ის ტაში და ოვაცია, რომელიც თან სდევდა ანსამბლის ყოველ გამოსვლას საზღვარგარეთის უდიდესი ქალაქების საკონცერტო დარბაზებში.

ყველას მოგვისმენია, რა შთაგონებით ასრულებს კომპოზიტორ რუსუდან სებისკვერაძის სიმღერებს „ქართული ხმები", ერთხელ ქალბატონი რუსუდანი მეუბნება:

– მაგ ბიჭებში, მაგათ ენაცვალოთ ჩემი თავი, ყველაზე ახლოს გოგი დოლიძე იყო ჩემთან, – რეპერტუარში ერთი ორმოცდაათი სიმღერა მაინც ჰქონდა ჩემი, რა დასამალია და, ჩემი სიმღერების შესასრულებლად კვარტეტიც კი შექმნა გოგიმ – გურამ თამაზაშვილთან, დათო გოგიაშვილთან და ზაურ ბოლქვაძესთან ერთად. ზაური მანამდე ესტრადაზე არც მინახავს. ეს ვიცოდი მხოლოდ, პურმარილის კაცი რომ იყო... არადა, უცებ შეეთვისა ესტრადას. დღემდე მიკვირს, გურიაში, კრიმანჭულის გარემოცვაში გაზრდილს, საიდან აქვს ქალაქური სიმღერების ყველა ნიუანსში წვდომის უნარი?! მე ვთვლი, რომ იგი ცოცხალი ლეგენდაა. არ ვაჭარბებ: მედიცინამ უნდა შეისწავლოს მისი ყელი, მისი იოგები... რას უძლებს მაინც – ყოველ დილით დაადგებიან თავზე და, აბა, ზაურ, წავედით ხაშზე...

* * *

მოეფერა შარშანწინ ოზურგეთი ზაურს, დაბადების დღე გადაუხადა მშობელმა ხალხმა. ღმერთო, რა ბედნიერი იყო „ნაგომრელი ბიჭი", ოქროყელა კაცი, რომელმაც ასე ძალუმად აგრძნობინა მთელ საქართველოს ქართული ხმის უკიდეგანობა.

ამ ხმით თაობები დატკბებიან, ჩემო ზაურ! შენი ხმის უკვდავებას ვლოცავ!

ღმერთმა სული გაგინათლოს!

ვილენ მარდალეიშვილი

## განცხადება

### საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი აცხადებს აუქციონს, სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით

1. აუქციონში მონაწილეებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ 2010 წლის 24 დეკემბრის დღის 10:00 საათიდან, 2010 წლის 24 იანვრის დღის 12:00 საათამდე.

**მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, №1.**

**საკონტაქტო ტელეფონი: 38 14 25, 877 13 03 13;**

**საკონტაქტო პირი: ზურაბ ენაგელი (შესყიდვების განყოფილება);**

**აუქციონი ჩატარდება 2010 წლის 24 იანვარს 17:00 სთ-ზე. მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1, II სართული.**

2. სსიპ ეროვნული არქივი (მდებარე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1) აცხადებს საჯარო აუქციონს, სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით.

3. სარგებლობით გადასაცემი ფართი:

სსიპ ეროვნული არქივის ბალანსზე რიცხული შენობის (მდებარე: ვაჟა-ფშაველას გამზ.№1) ნაწილის, ვაჟა-ფშაველას მხარეს მოქცეული ფასადის, რომლის საერთო ფართი შეადგენს 600 კვ.მ-ს.

**პირობა 1.** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში გაუქმებულ იქნება საიჯარო ხელშეკრულება, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ აუცილებელ პირობას.

ა) სარგებლობის უფლებით გაცემა ხდება რეკლამის განთავსების მიზნით;

ბ) სარგებლობის საწყისი ფასია 12 000 (თორმეტი ათასი) ლარი თვეში;

გ) აუქციონში მონაწილემ უნდა გადაიხადოს ელექტრონული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია/ბე, სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადასაცემი საწყისი საფასურის 30% -3 600 ლარის ოდენობით;

დ) ბიჯის სიდიდე განისაზღვრება - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით და ბილეთის საფასური - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ე) ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტებში მითითებული თანხები უნდა ჩაირიცხოს შემდეგ რეკვიზიტებზე:

**თანხის მიმღები - სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი**

**მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი – 211358957**

**მიმღების ბანკი – სს ,,ლიბერთი ბანკის" ცენტრალური ფილიალი**

**მიმღების ბანკის კოდი - 220101480**

**მიმღების ანგარიშის ნომერი –**

**GE03 LB□0121160105327000**

4. სარგებლობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს.

5. გრძელვადიანი (1 წელზე მეტი ვადით) ხელშეკრულების გაფორმებისას აუქციონში მონაწილე პირმა უნდა გაითვალისწინოს არსებული ინფლაცია და საბაზრო ფასების ცვლილებები.

6. სარგებლობის პერიოდში გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება (თუ ასეთი იარსებებს) უნდა გადაიხადოს მოიჯარემ არსებული წესების დაცვით.

7. სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის მიზანია, სარგებლობის უფლება მიანიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გამცემ ორგანოს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ საჯარო აუქციონი გამოცხადდება პირობებით – სარგებლობის უფლება მიანიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები, და ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

8. საჯარო აუქციონში გამარჯვების ოქმის გაცემიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მხარეთა (სახელმწიფო ქონების გადამცემსა და სახელმწიფო ქონების მიმღებს) შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც დაინტერესებულ პირებს გასაცნობად გადაეცემა წინასწარ, განაცხადის შემოტანამდე, განაცხადის დადგენილ ფორმასთან ერთად საკონტაქტო პირის მიერ – სსიპ ეროვნული არქივის შესყიდვების განყოფილებაში.

9. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველმა აუქციონის რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს:

ა) განაცხადი (განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონაწილეობის მსურველ პირზე, სახელმწიფო ქონების დასახელებას, ლოტის ნომერს, სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემის საწყის საფასურს);

ბ) ბეს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (ბეს გადახდას უთანაბრდება ასევე მონაწილის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის გაყინვა, რომელიც საჯარო აუქციონის განმახორციელებელ ორგანოს გადაერიცხება მონაწილის საჯარო აუქციონში გამარჯვებისთანავე ან ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესისა და პირობების დარღვევისას), ან უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის წარდგენის დამადასტურებელ დოკუმენტს;

გ) მონაწილის ბილეთის ფასის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ხოლო ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – აგრეთვე ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

ვ) სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.

ინფორმაცია

### თბილისში ავარიას 22 წლის ახალგაზრდა ემსხვერპლა

**ტრაილერის შეჯახების გამო თბილისში 22 წლის გიორგი ჯანაშია დაიღუპა.**

**თვითმხილველების ინფომაციით, სამშენებლო მასალებით დატვირთული ტრაილერი მარშალ გელოვანისა და როზაქიძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე სამშენებლო ობიექტის ეზოში დიდი სიჩქარით შევიდა, რის გამოც მძღოლმა ჯანაშია ვერ დაინახა და დაეჯახა.**

მძღოლს ადგილიდან მიმალვა არც უცდია და პოლიციას ჩაბარდა.

გარდაცვლილი ჭიათურის რაიონიდან არის და მშენებლობაზე მუშაობდა. ცხედარი პროზექტურაში უკვე გადაასვენეს.

მარშალ გელოვანისა და როზაქიძის ქუჩების გადაკვეთაზე სამშენებლო სამუშაოებს კომპანია ,,ენსისი,, ახორციელებს.

### ავარიას სამი ადამიანი ემსხვერპლა

**ქუთაისში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა და ხუთი დაშავდა.**

**შემთხვევა ქუთაისი-სამტრედიის გზაზე მოხდა, ერთმანეთს სამარშუტო ტაქსი, ტრაილერი და მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახნენ.**

ინციდენტის დროს ავტომანქანაში მყოფი ორი ადამიანი დაიღუპა, ხოლო სამარშუტო ტაქსში ერთი მგზავრი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

დაშავებულები ქუთაისის საავადმყოფოში არიან გადაყვანილები. ექიმების ინფორმაციით, ორი პაციენტის მდგომარეობა მძიმეა და რეანიმაციულ განყოფილებაში არიან გადაყვანილები, ხოლო დანარჩენი დაშავებულები პირველადი დახმარების აღმოჩენის შემდეგ სახლებში გაწერეს.

ჯი-ეიჩ-ენი

## განცხადება

**2010 წლის 24 სექტემბერს ნოტარიუსს საქართველოში სოსო მუმლაძეს განცხადებით მიმართა ნინა დოჭვირის და ოლეგ დოჭვირის წარმომადგენელმა თამაზ დოჭვირმა და მოითხოვა 26.06. 2010 წელს გარდაცვლილი თამაზ დოჭვირის სამკვიდროს მიღება, დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მიმართოთ ნოტარიუს სოსო მუმლაძეს მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 42, 2010 წლის 26 დეკემბრამდე.**

ნომრის კარიკატურა



## სულიერება

# ქართველი წამებულნი და ღირსნი მამანი და დედანი

**24 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ყველა წმინდანს, რომლებიც საქართველოში ეწამნენ.**

საქართველოს მებრძოლი ეკლესიიდან ზეციურ მეღლესასწაულე ეკლესიაში ამაღლებულ ქრისტიანთა ჩამოთვლა შეუძლებელია, ისევე როგორც მათი ღვაწლის აღწერა.

სწორედ ამის გამო წერია დღევანდელ, 24 დეკემბრის მოსახსენებელში, რომ „საქართველოში წამებულთა და ღირსთა მამათა და დედათა შორის უნდა ვიგულისხმოთ“... და ყველასთვის ცნობილ წმინდანთა სახელებს გარდა, ქართული ანბანის მიხედვით ჩამოთვლილია სამასამდე ქართული წარმოშობის სახელი...



ტრადიციისამებრ, წირვის შემდეგ, ამბიონიდან მღვდელი ტაძარში შეკრებილთ ასე მიმართავს – დღეს ყველა თქვენგანის (რა სახელიც არ უნდა გვერქვასძ დღესასწაულიაო, გვლოცავს ჩვენ და მგალობლები „მრავალჟამიერს“ გალობენ...

**გიული ლიპარტია**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7581 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3128 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7251 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.7232 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



**იყიდება სასწრაფოდ!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკექ
ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

## დაიჯესტი



### რა ლამაზია ეს თქვენი ბუდაპეშტი!

**„მაშ ასე, ჩვენ ვარშავაში ვიმყოფებით...“ – მუდამ ამ სიტყვებით იწყებს პოლონეთის დედაქალაქის შესახებ თხრობას ერთ-ერთი გიდი, რომელიც სტუმრად ჩასულ უცხოელ ტურისტებს აცნობს მის ღირსშესანიშნაობებს.**

ეს ჩვევა მას ერთი შემთხვევის შემდეგ გაუჩნდა: ვარშავაში ექსკურსიის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა ამერიკელმა ტურისტმა გიდს მიმართა: „დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. სიმართლე გითხრათ, ვერასდროს წარმომედგინა, რომ ბუდაპეშტი ასეთი ლამაზი ქალაქია!“

### ბორკა მოისეევის მოწინააღმდეგენი



**ყუბანელმა კაზაკებმა ანაპაში პიკეტი მოაწყვეს, რომელიც ქალაქში ცნობილი რუსეთელი მამათმავლისა და მომღერლის ბორის მოისეევის კონცერტის გამართვის წინააღმდეგ იყო მიმართული. მისი პიროვნებისა და შემოქმედების მოწინააღმდეგეები „არასაპარლამენტო“ ტექსტებიანი პლაკატებით გამოვიდნენ და ქალის პარიკსა და აზღუდში „გამოწყობილი“ თხა ბორკაც გამოიყვანეს ქუჩაში. მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ „ლოზუნგებს“ კაზაკები რამდენიმე საათის განმავლობაში გაჰყვიროდნენ, ბორის მოისეევის კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა.**

ისე, თუ გავიხსენებთ, თავის დროზე ბორის მოისეევზე გაცილებით უფრო ცნობილი ესპანელი მომღერალი რაფაელი, ევროპაში ცნობილი ჰომოსექსუალისტი, თბილისს რომ ესტუმრა, მისგან ავტოგრაფის ასაღებად და საკოცნელად თბილისელ გოგონათა უგრძესი რიგი იდგა სპორტის სასახლეში სახელდახელო სცენაზე, თუმცა მაშინ თავი შეიძლება იმით ემართლებინათ, აბა რა ვიცოდითო. მაგრამ მერე ფილიპ კირკოროვი რომ გვესტუმრა და იგივე სიტუაცია განმეორდა?..

### რაც სანიტარიულ ნორმებს არ შეესაბამება...

**რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დიზაინერი სვეტლანა ბეგოვატოვა აცხადებს, რომ „ქალის თანამედროვე საბანაო კოსტიუმი სულ უფრო მეტად უახლოვდება მართლმადიდებლურ კანონებს“, ხოლო „სამი ფოთლის“ თანამედროვე საბანაო კოსტიუმები მხოლოდ იმას მიანიშნებენ, თუ რამდენად უკულტუროა მისი მატარებელი.**

მართლმადიდებლური ქრისტიანობის ნორმების შესატყვისი საბანაო სამოსელი სპორტული ტრიკოსა და ტუნიკის ჰიბრიდს ჰგავს. მასში ცურვა საკმაოდ ძნელია, სამაგიეროდ მშვენივრად ნილბავს წელს, მკერდს, თეძოებსა და მხრებს. მასში გამოწყობილი ქალი ერთგვარ ეგზოტიკურ მედუზას წააგავს.

– მართლმადიდებლური კანონების შესატყვისი სამოსელის ხაზის გამოჩენა საბანაო ტანსაცმლის ბაზარზე სხვა არაფერია, თუ არა კომერციული სვლა, – გაღიზიანებული აცხადებენ ბეგოვატოვას კონკურენტები, რომლებსაც ამის თაობაზე დაფიქრება აზრად არ მოსვლიათ.

**ინფორმაცია თემაში**

**რამდენიმე წლის წინათ მუსლიმი ქალბატონებისთვის საბანაო კოსტიუმი მოიფიქრეს, რომელიც კაპიუშონიან გრძელ კაბას – ბურკინს წარმოადგენდა. თუმცა ამ „საბანაო“ კაბით ქალებს ყველგან არ უშვებენ. მაგალითად, ბურკინიანი ფრანგი ქალი საცურაო აუზში არ შეუშვეს, რადგან ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ მისი სამოსელი „სანიტარიულ ნორმებს არ შეესაბამება“.**

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | -1 – +12 |
| ქუთაისი. | +8 – +18 |
| ბათუმი. | +7 – +18 |
| ზუგდიდი. | +3 – +18 |
| თელავი. | +1 – +12 |

## კადრი



## ანეკდოტები

– ეს ბოტასები სადაურია? – კითხულობს ტიპი ბაზრობაზე.

– გერმანულია!

– აბა აგერ, ჩასაფენს ქვეშ რომ აწერია, ჩინურიაო?

– ნორმალური ხალხისთვის გერმანულია, ცნობისმოყვარეთათვის კი – ჩინური.

* * *



– დედი, დედი, აივნიდან ჰანტელები გადამივარდა! – ყვირის პატარა ბიჭი.

– ოი, თუ მამაშენმა გაიგო...

– მან უკვე გაიგო...

– სად იყავი დაკარგული?

– ავად ვიყავი.

– რა დაგემართა?

– ძეხვის არადანიშნულებისამებრ გამოყენებით დავზარალდი!

– ეს როგორ?!

– ვიყიდე, შევჭამე და მოვიწამლე. წესით კი იგი გამყიდველისთვის ერთ ადგილას უნდა გამერჭო.

* * *

გუშინ გადაჭარბებული სიჩქარით მიმქროლავი „ჟიგული“ დაეჯახა 280 ათას ევროდ ღირებულ „ბენტლის“. „ჟიგულის“ მძღოლმა მოახერხა, რომ ადგილზევე გარდაცვლილიყო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.